ᲛᲔᲚᲘᲤᲐᲓᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ. № 7. ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐᲞ.

ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘ

ორკვირული სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

1. კიკნა პოემები, დ. თურდოსპირელისა.
2. ლექსი, დ. თომაშვილისა.
3. სააღდგომო კაბა, მოთხრობა, კირილე წუთისოფლელისა.
4. დაღუპული ოჯახი. რ. საყვავახოელისა.
5. ბაბო, მოთხრობა, გ. ებრალიძისა.
6. რა არის ცოცხალი ორგანიზმი, ექიმი ბადრიძისა.
7. კრიტიკა, თ. თ. აკაკი წერეთელზე და ილია პავლავაძეზე, ნ. ნიკოლაძისა.
8. ბიბლიოგრაფია, ჩარლზ დარვინი, იაკ. ფანცხავასი.
9. ახლო აღმოსავლეთი, გულკეთილისა.
10. ომის მატიანე.

1 აპრილი 1915 წ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ
სტამბა „ძმობა“ ქარვასლის ქ., სახლი ჩარექოვისა.

მეაბრეშუმეთა საყურათლებოთ!

მიუხედავათ ომისა და საქონლის გაძვირებისა ჩვენ დიდ ძალი აბრეშუმის თესლი გამოვგზავნეთ ქუთაისში, საუკეთესო საფრანგეთის ფირმებისა, საფრანგეთის მთავრობის მიერ შემოწმებული და საფრანგეთის სამეურნო სამინისტროს ბანდეროლით კოლოფებზე, ასე რომ კავკასიის საბრეშუმო სადგურის მიერ შემოწმება არ ჭირდება, რადგან საფრანგეთის მართებლობა მარტო საღს თესლს უშვებს უცხოეთში.

თითო კოლოფი შეიცავს 7 მისნალ თესლს და მისგან მოყვანილი პარკი 10%/0 მეტ რანდემანს იძლევა. მსურველთ ჩვენი თესლი შეუძლიათ შეიძინონ

ქუთაისში, ისიდორე კვიცარიძესთან, „იმერეთის“ კანტორაში.

გთხოვთ დაუჩქაროთ ამ ერთათ ერთი საღი თესლის შეძენას!

ბატივისცემით ლეონ ლომბაშიძე და ამხ., ლონდონში.

ეროვნულდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო ფურცელი“

(სურათებიანი დამატებით).

წლიურათ ღირს 8 მან. 50 კ. ერთის თვით—75 კაპ.

მისამართი: Тифлисъ, газ. „Сахалхо Пурцели“ поч. ящ. № 190.

თფილისის წიგნის მაღაზიებში იყიდება

გ. თუმანიშვილის წიგნები:

Итоги земскихъ совѣщаній на Кавказѣ.

ფ. 60 კაპ.

Характеристика и воспоминанія.

(ქართველი და სომეხი მწერლები და სხვა მოღვაწეები. ქართული თეატრი. —რუსის მწერლები და მოღვაწეები კავკასიაში).

მეორე შევსებული გამოცემა. ფ. 50 კაპ.

ПЕРВЫЙ КАМЕНЬ

(Къ закладкѣ фундамента Тифл. Политехникума).

ფ. 15 კაპ.

განთიადი

№ 7. 1 აპრილი 1915 წ.

ორკვირული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

კიკნა პოემები.

I.

ნისლები.

ნისლები...

ოის ფერი ნისლები...

როგორ კოპწიაობენ...

რა რიგ ყელ-ყელაობენ...

რა ეშხიანათ ილიმებიან....

ლაღათ, მხიარულათ ბანაობენ ლაჟვარდში და ისედაც ფაქიზნი უფრო სპეტაკდებიან... ისედაც ტურფანი ზღაპრულს ფერიებს ემსგავსებიან.

ეგრე, ეგრე ძვირფასნო!

იცინეთ, ილაღობეთ...

განეწონეთ ფირუზს ცას... ეზიარეთ ლალის სხივებს...

ისარგებლეთ, სიცოცხლე ვიდრე გაზაფხულია, ვიდრე მზე ბრწყინავს, კაცია ძოწმენდილია...

იცოდეთ: ფრიად ხანმოკლეა ასეთი ჟამი...

დაოკდით, დასტკბით მისხით-მისხამდი -- თორე მალე დადგება პირ-მქისი შემოდგომა თვისი გაუთენებელი ღამეებით, მალე წამოგიქროლებთ გაავზნებული ქარი და ივა-წივათ მამოგფანტავთ მწირ ხევ-ხუვებში ჟინჟღლიან ჯანლთან სავალალებლათ... დამჭკნარს ფოთლებთან დასახოცავათ...

ნისლებო, საყვარელო ნისლებო!..

რას გაიცრიცეთ... წითური ღიმილი რათ გაგიმქრალდათ?..

შეგაკრთოთ ჩემმა სიტყვებმა?

სიკვდილისა შეგეშინდათ?..

ნუ, ნუ ინაღვლებთ, ძვირფასნო... ნუ აიმღვრევთ ცნობას...

ასეთია გარდუვალი ბედის-წერა.

ყველაფერი კვდება... ყველაფერი ისპობა სამუდამ-ჟამოთ...

უკვდავია მხოლოთ სიკვდილი—მარადისობის ყარ-ყუმი მეხრე...

II.

რათა გგონიათ?..

განთიადისას, როდესაც ყვავილები, ფერად-ფერადათ გადაიშლებიან, როდესაც ალმასის ცვრები თრთოლას იწყებენ მათს

მოხასხასე ფოთლებზე,—რათა გგონიათ, რო ყვავილნი იცინოდენ ლხენის სიჭარბით გალაღებულნი?..

რათა გგონიათ, რომ ის ცვრები იყვენ ცრემლები ნეტარებისა... არა!

ისინი ჯავრისა და ვაების ცრემლებია.

ყვავილები სტირიან, ყვავილები ვაგლახობენ იმიტომ, რო ხანმოკლეა მათი სიცოცხლე; მათ იციან, რო მალე დასჭკნებიან, მალე გაილესებიან საუკუნო წყვდიადსა და სიცივეში და აღარასოდეს გამეორდებიან... აღარასოდეს იხილვენ მზეს, ვარსკვლავებს, ნაკადებს, ჩიტუნიებს, —ყველა იმას, რაც ხარობს და ნეტარობს, ლაღობს და კისკისობს სიცოცხლის ეშხით...

დ. თურდოსპირელი.

ასე... ერთხმათ!

ე მაგრე, თქვენი ჭირიმე!
ე მაგრე შეუტატანეთ—
და თუნდ სიცოცხლეც მომთხოვეთ,
ზე თანვე გადამატანეთ!..

გულს მოეფინა სიამე
და შვება იგრძნო ტანჯულმა,
შმუშვნა რომ იწყო სოროში,
იმ ცხრაგვერდა და ცხრარჯულმა!..

იმედის სხივმა დამქროლა,
ობლათ მიმქრალმა ეულათ,
და განმიახლა კვლავ რწმენა
თვის შუქით ანაზდეულათ!..

სხვაგან მუხთლობის მძებნელი,
ჩვეული სხვების კიცხვასა,
ვერ დაემალვის ვეროდეს
ერის ერთხმოვან რისხვასა!..

არც მოელოდა ვერაგი
ამ ერთხმათ შეტატანებას:
დაბალ ლობეზე გადასვლის
მიტომ აძლევდა თავს ნებას!..

მასპინძლის ამგვარ დახვედრას,
რომ არ ყოფილა ჩვეული,
სახტათ, პირ-კატა-ნაცემი
გაბრუნდა სირცხვილეული!..

სრულდება წმიდა სურვილი—
ანდერძი წინაპარისა:
ერთსულოვნობით ფარგება
მტრის დამცემია ზარისა!..

და, რო ვიგემეთ ნაყოფი,
თუმცა პირველი ხილია,
ნულარ მომაკლებთ, გეთაყვათ,
ის იმოდენათ ტკბილია!..

ე მაგრე, თქვენი ჭირიმე!..
კვლავ ეგრე შეუქაქანეთ!..
და განგებ თგზული „სიბრიყვე“
მტერს საფლავშიაც ანანეთ!..

დ. ოომაშვილი.

სააღდგომო კაბა.

(მოთხრობა).

I.

გადატრიალდა დროთა ბრუნვის უზარ-ბაზარი ჩარხი და თან გადაიტანა დაღვრემილ-სევდიანი ზამთარი; გაქრენ დრონი მწარენი და თან წარიტაცეს ვაება ღარიბთა... იფეთქა იამ და პირველათ მან მიახარა ქვეყანას გაზაფხულის გამარჯვება. ისუნთქა ბუნებამ და თვისი სწორუპოვარი, თანდათანობის დაცვის კანონით ნაზათ და ნაზათ გამოაღვიძა მიძინებული ქვეყანა.—„აი გაზაფხული!“ უხმოთ გასძახა ბაღმა;—„გაზაფხულია!“ მხიარულათ დასძახეს ფრინველებმა... ბგერ, სიცოცხლის მომნიჭებელი მზეც სალამს უძღვნის დედა მიწას და თვისი ოქროს სხივებით

ატყობინებს: — „გიახლოვდები, გიხაროდეს, გაზაფხულიაო“. — „გაზაფხულია, გაზაფხული!“ — წამოიძახა მუშამაც და თვისი სამართებელივით ნალესი თოხი გაიქნია ჭალაში, რო გაანადგუროს ნაყანვარზე დარჩენილი ჩალის ღეროები, მოსწმიდოს, მოაგროვოს და გეენია ცეცხლს მისცეს, რასაც მის ბრძოლის ველზე ხელის შემცარავი მნიშვნელობა აქვს, ბინდისას მწკრივ-მწკრივათ გააჩაღოს ცეცხლი და მის საყვარელ დედა მიწის ზურგზე დახატოს თვალწარმტაცი ცოცხალი სურათი მავნე, ურგებ ნივთთა განიავ ქარებისა.

ამ საზოგადო ფაცაფუცის დროს, როცა უკანასკნელი მწერიც-კი ამოძრავდება ხოლმე საზდოს მოსაპოებლათ, არც ტუტუ კაკაჩია დარჩენილიყო ფერხულს გარეშე: ისიც ხარობდა გულის გამთბობი გაზაფხულით, ხარობდა ბუნების შვენიერებით, თან ამზადებდა საყანე მიწებს და ხარობდა მითაც, რომ ერთობ დიდძალი და ნოყიერი მიწები აეღო დასამუშავებლათ... ის ღარიბი იყო და, რადგანაც საკუთარი მიწა-წყალი არ გააჩდა, სხვის ხელში შემყურე საბრალო გლეხკაცი კმაყოფილდებოდა მითი, რასაც მიწის მეპატრონე მიუგდებდა, რომლისთვისაც წელიწადში ორი-სამი ქათამი დაჭირდებოდა საძღვნოთ, უკეთ რომა ვთქვათ, — ქთამათ, რო მიწის მეპატრონეებს პირიდან ლუკმა არ გამოეგლიჯა ტუტუს ოჯახისთვის. ღარიბი ტუტუც, რომელსაც არ გააჩდა, არც ქონებრივი, არც სხვაგვარი მოხერხების ძალა, უნებურათ ჯერდებოდა იმ ყველასგან დაწუნებულ ორ-სამ ქცევა ხრიოკ მიწას, რომელიც, თუ არა ტუტუ, შეიძლებოდა დაუმუშავებლათ დარჩენილიყო. მარა, რაკი სხვა საშვალება მას არ გააჩდა, ასეთ მიწებზე ღვრიდა ოფლს იმ პირობით, რო ნახევარი ნამუშევარი თვისი საკუთარი ხარ-ურმით მიერთმია მიწის პატრონისთვის. ამის გამო, მას ყოველთვის ოთხი, თუ ხუთი თვის სარჩო ძლივს მოსდიოდა და დანარჩენ დროსკი თვის ნახევრობით მშიერ ოჯახს, წვითა და დაგვით, მოჯამაგირობაში ნაშოვნი ფულით კვებავდა... სამაგიეროთ, ახლა მის ბედს ძალლიც არ დაყეფდა: რაღაც შემთხვევამ მოუმართა ხელი და ათიოდე ქცევა ჩინებული მიწა იშოვა დასამუშავებლათ და მაგრათაც მოკიდა ხელი მუშაობას. ამის გამო, მას ასგვარი იმედები ეღვიძებოდა გულში, რომ ის დიდძალ სიმიდს მოიწევდა, მთელი წლის სარჩოსთვის. საზრუნავი არაფერი ექნებოდა და იმდენსაც გაყიდდა, რომ ახალ ტანისამოსს შეუკერავდა ცოლ-შვილს. ეს იმედები ფართოთ აღებიებდა თვალებს ტუტუს და დაუზოგველათ ახარჯვიებდა ჯანსა და ღონეს.

„ღარიბს შვილები ბლომათ უჩდებაო“ — რომ იტყვიან, სწორეთ ტუტუზე ამხთარიყო. მას ერთი ქალი და ხუთი ვაჟი მისცემოდა; ვაჟები ჯერ სარჩენი და საპატრონო იყვენ და ქალიშვილი კი, რომელსაც რამდენიმე სახელს ეძახდენ, მარა უფრო ხშირათ — ცირუს, 17 — 18 წლის იქნებოდა... ცირუ მეტათ შვენიერი და წამოსადეგი ქალიშვილი იყო. მისი მაღალი და, თითქო საგანგებოთ ჩამოსხმული ტანის მოყვანილობა, მეტათ ლამაზი და სწორი პირისახე, წელამდი წაბლის ფერი თმა, ჟუჟუნა თვალები ერთბაშათ იპყრობდა მნახველის ყურათღებას. მართალია, ის ღარიბულათ იყო ჩაცმულ-დახურული, რის გამო მას ერთგვარი თავმოყვარობა ტანჯავდა კიდეც, მარა მაინც ხომ მის სილამაზეს, მის სილარიბესთან ერთათ ინატრებდა ბევრი ის ქალიშვილთაგანი, რომელთაც აღარ იციან, რომელი ფარჩა-აბრეშუმეულობით მოირთონ. ისიც კია, რო ცირუ ხშირათ მშიერიც იყო და უფრო ხშირათ ცალიერი მჭადით იკვებებოდა. მარა მაინც ვარდ-ყვავილი იშლებოდა მის პირისახეზე.

მართა, — ცირუს დედა, და თვით ცირუც ძალიან კარგათ ხედავდენ და გრძნობდენ, რო მათ არა თუ აკლდათ, სრულიადაც არ ქონდათ ის საამაყო და საკოპწიო ტანისამოსი, რითაც შეძლებოდათ ტოლ-ამხანაგებში თავის მოწონება, რაც მრავალგვარ გულის თქმას ძრავდა მათ გულში. ისინი, და უფრო-კი მართა, წამ და უწუმ უჩიოდენ თავიანთ ბედიღბალს, სიღარიბეს და შევიწროებულ ცხოვრებას, რის გამო ბრძოლასა და უკმაყოფილებაში ატარებდენ დღე ღამეს, ისინი შრო-

მისა და გარჯისგან არავითარ ხსნას არ მოელოდენ და არც არაფერს აკეთებდენ, გარდა იმისა, რომ ეძლეოდენ დაუბოლოვებელ ოცნებას, რითაც ილალავდენ თავს ყოველ დღე — „დასწყეველოს ღმერთმა ი ზოგიერთები,—ხშირათ დამბდა დედა შვილთან,—დეიწყებენ ქადაგებას:—კაცი ღარიბი არ უნდა იყვესო. ადამიანმა, თუ ხელი გამეიღო, იმუშავა, იმეცადინა, დრო ტყუილა არ დაკარგა, ნაშრომს და ნამუშევარს კარგათ მოუარა, თუ ოჯახში თავიანათ გეისარჯა, ღარიბი არ იქნებაო... სამას სამოც და სამმა მთავარანგელოზმა დაღუპოს მაგათი სახსენებელი! გულზე მომივა, ამისანა ლაპარაკს რო გევიგონებ.. იმუშავე, —იმუშავეო! მოდექი და იმუშავე ვირივით: სადილი აკეთე, ვახშამი აკეთე, წიწილები დაზარდე, ბოსტანი გააკეთე, ძროხა გეიჩინე, ის ოდესღაც ხბოს მეიგვებს—გაზარდე, სამი-ოთხი წლის მერე ის ხარი იქნება— გაყიდე, ეს ქენი, ის ქენი, იხლაფორთე, იდავიდარაბე ათი წლის მერმინდელი საქმიზა!.. ამას ვისი გული მეითმენს? თუ ცეცხლში ჩევიწვი, არ დევიძინე, არ მევისვენე, რაცხა იქნება, ქე იქნება, მარა, თუ თავი არ მეყოლება, რამე რათ მინდა? კაი ისაა, რომ ოჯახში დოვლათი ტრიალობდეს და საზრუნველი არაფერი იყოს, მარა ეს ღმერთს არ მოუცია ჩემთვის, დაწყეველოს ღმერთმა ამისანა ბედი და ამისანა იღბალი“,—ამბობდა და თანდათან მოუთმენლობა უღვივდებოდა მართას. მის თვალში, ოჯახის სიღარიბის მიზეზი სულ მუდამ ტუტუ იყო, რომლისგან თხოულობდა ის ხშირათ ისეთს რამეებსაც კი, რომლის შეძლება ტუტუს არ გააჩდა. მართალია, სოფლის პიროშაზე, ზოგიერთებზე ნაკლები შემოსავალი არც მას ქონდა, რასაც ახერხებდა ტუტუ მხოლოთ მოჯამაგირობით და, რასაც მართა უფრო ტანისამოსზე და პირის გემოზე ხარჯავდა. მარა ეს მას არ ყოფნიდა, რის გამო მას მუდმივი ბრძოლა ქონდა ქმართან.

რა თქმა უნდა, არც ცირუ იყო კმაყოფილი. ის ძალიან კარგათ გრძნობდა თვის სილამაზეს და გულს უკლავდა ის გარემოება, რომ ოჯახის სიღარიბეს მეტის მეტი ხელის შემშლელი მნიშვნელობა ქონდა მისი შვენიერების გამოსაფენათ. ის კარგათ ხედავდა, რომ ასე, თუ ისე შეძლებული მეზობლის ქალიშვილები ძალიან დიდ ყურათღებას აქცევდენ „მოდაზე“ ჩაცმა-დახურვას და კარგათაც იმოსებოდენ, რასაც მოკლებული იყო ცირუ და ეს გარემოება არა თუ მას, მართასაც სულსა და გულს უწუხებდა, რადგან ასეთი ჩაცმა-დახურვის ღირსი ვერ ხდებოდა ის, ვინც, სილამაზის მიხედვით, დედა-შვილის შეხედულებით, მართლაც ღირსი იყო ამისა.

ერთ საღამოს ტუტუ ჩვეულებრივზე უფრო მხიარულათ დაბრუნდა ყანიდან და იმ დღის დაბადებული ოცნებით მოისურვა ცოლშვილის გახარება. მან ცოტა მორიდებით დაიწყო ლაპარაკი, თითქმის ყოველთვის მწყრალათ მეტყველ მართასთან, რომელსაც ცირუ გვერდით უჯდა და განაგრძო იმის შესახებ, რო მას დიდძალი საყანეები ქონდა აღებული და, თუ ღმერთი ხელს მოუმართავდა და სიმიდს ფასი ექნებოდა, ასი მანათისას ჩამორჩებოდა. აქიდან სამ ოთხ თუმანს ცირუს გამოსაწყობათ გადადებდა, მართასაც კაი კაბას უყიდიდა, ბაღნებს დამოსავდა და ოჯახსაც გაახარებდა... ცირუ აღტაცებას მიეცა ამ მოსალოდნელი, საბედისწერო ოცნებით; არც მართა გახარებულა მაზე ნაკლებ. მარა ის მაინც, ჩვეულებისამებრ, შეკუნტრუშდა, თავი ამაყათ დაიჭირა და ეს აღტაცებაც დამალა, რო ქმრისთვის თავი არ მოეწონებია. სამაგიეროთ, ცირუ იმდენათ გაიტაცა ოცნებამ, რო მთელ იმ ღამეს მის თვალებს რულიც არ მიკარებია. ის ღრმათ ჩაუფიქრდა თვის გამოწყობის საქმეს და იმდენათ ფრთები შეისხა მის გულში ამ საგანზე აღტყინებულმა ოცნებამ, რო საკაბე შალების ფერის არჩევაც დაიწყო, რომელი ფერისა უფრო მოუხდებოდა სახეზე... არ დარჩენია გადაუსინჯავ-გაურჩეველი თითქმის არაფერი, რისიც ყიდვა მას უნდოდა და მივიდა იმ წვრილმანზედაც-კი, რო ფეხსაცმელს ძალიან მაღალ ქუსლიანს იყიდდა და, ხელოვნური სიმაღლის დასამთავრებლათ, ქუსლზე რეზინასაც ამოაკრავდა...

ამგვარი ოცნებით ის მოიღალა, თვალებში ჭინჭარივით დაუწყო რაღაცამ სუსხვა და სწორეთ ძილი იყო ამ დროს მისთვის საჭირო. მარა, რამდენათ ის აჭრელებულ-აპეპლილ ჩითაბრეშუმეულობამ გაიტაცა, იმდენათ მის თვალებს ძილი ეკარგებოდა.. „ოხ, ნეტაი, — თქვა მან ბოლოს, — ისე ბედნიერი ვიქნებოდე, რომ ამ სააღდგომოთ მექნებოდეს ეს ტანისამოსი, რავა ჩამოუპრაწავდი თვალებს ტოლაფხანიკებს, რომლებიც თითქო განგებ მეპრანჭებიან: — „ჰი, შენ ლამაზი ხარ, მარა ჩვარებში ხარ გამოხოული და ჩვენი აბრეშუმის იუბკების შრიალი თვალებს გიყენებს, შესაწყალოვო“. — ოხ-ოხ-ოხ! ნახევარი სიცოცხლე მომაკლო და ამ სააღდგომოთ მომცა ის ტანისამოსი, რასაც მამა საგაისოთ მპირდება!.. რაია საგაისოთ? ჯერ სიმიდი დათესილიც არაა, უნდა დათესოს, გათოხნოს, დაამწიფოს, მოტეხოს, შეინახოს, გაახმოს, გაყიდოს და, მერე, მე უნდა გამომაწყოს!.. ეს როდის? იქნება ვერც მივაწიო მანამდი! ვაი, ჩემს თვალებს! შარშან რეიზა არ მეიწია მამამ სიმიდი, რო წროულს გამოვწყობილიყავი?.. აბრეშუმის იუბკა!.. რა კაია, საყვარელო, აბრეშუმის იუბკა, შიშინ-შინი რო გააქვს!.. წროულს, წროულს! არა, წროულს უნდა გამევეწყო მტრის თვალის დასაყენებლათ!.. მარა სიდან? ვაი, ჩემს თავს! წროულს რო სიმიდი არა აქვს მამას?!. მოიცა, მართლა, მამას კაი ნდობა აქ. ყოლგან ენდობიან; შაფათა გინდა ენდობა, გინდა ჩვენი იაკობა; მარა შაფათა ჯობია — შაფათა, იმან მეიტანა ახლა ახალ მოდის შალები, აბრეშუმები, კრუჟევები, სარუბაშქეები და, რაც გინდა ყოლიფერი აქ... წორეთ ასე ვიზამ, დედას შოუჩენ, ვიტირებ, თვალებს გევისივებ და მაინც და მაინ წროულს ვაყიდიებ, ნისიათ ავაღებიებ და, როცა სიმიდს გაყიდის, გეისტუმრებს... სულ ერთი არაა? — გიყიდიო და, ბარემ, წროულს მიყიდოს, გაისათ არაფელს ვთხოვ... გარაწყვეტილია, სააღდგომოთ უნდა მექნეს ყოლიფერი სიკეთე... შენი ჭირიმე — შენი, — მხიარულათ დაასკვნა ცირუმ და თითები დაიკოცნა სიხარულის გამო. ამგვარ ოცნებაში გართული ცირუ ძილზე სულ არ ფიქრობდა, რო კიდეც გათენებულიყო. — „რა პატარა ღამე ჩამოდის ოხერი!“ თქვა მან, ცოტა წყენით და წამოდგა მობუზული და თვალებგაწითლებული. ტუტუს და მართას გაუკვირდათ დილის ძილს ჩვეული ცირუს ადრე ადგომა, რომლის მიზეზს მართა მალე მიმხვდარიყო. მარა მიზეზის ახსნას ტუტუ არ გამოკიდებია, მან საჭიროთ შეისხა პირზე წყალი, გამოისახა პირჯვარი, ერთიც თუთუნი ააბოლა, გაიდვა თოხი მხარზე და გასწია ყანაში.

ამის შემდეგ, ცოტა ხანს კიდევ იყო ცირუ მოწყენილი და ჩაფიქრებული. თითქო დიდი რამ საზრუნავი გაჩენიაო. ერთიც გაიარ-გამოიარა ეზოში და, შემდეგ, საყვედურით მიუბრუნდა დედას. ის აყვედრიდა, რომ აღდგომა, აგერ, მოსულიყო და მის გამოწყობაზე არვინ ზრუნნავდა... გააგებია ის გეგმაც, თუ როგორ უნდა მომხთარიყო მისი გამოწყობის საქმე და ტირილით თხოვა შვამდგომლობა გაეწია მამასთან და დაეთანხმებია თვის მოსაზრებაზე. მართა ჩაფიქრდა. მას ცირუსთვის არაფერი შურდა. მარა ამ გრძნობასთან საშვალება იყო საჭირო და სწორეთ ეს არ გააჩდა მას. ისიც მიეცა მოწყენას. მას, ამ წამშიაც მძაფრათ წარმოუდგა ჩვეულებრივი აზრები, რო ღმერთს ის უიღბლოთ გაეჩინა, რომ ის ყოველგვარ სილარიბეს ითმენდა ბეჩავი ქმრის ხელში და სწყევლიდა თვის მშობლებსაც ასეთი უიღბლოთ გაჩენისთვის... ამ სახით, ის კარგა ხანს იყო მობუზული და გაბუტული; მისი პირისახე მარტის დღესავით იცვლიდა სანახაობას და, ბოლოს, გადაწყვიტა კიდეც, რო, რაც გინდ მოსვლოდა, მაინც გამოეწყო ცირუ სააღდგომოთ. ამ ამბავმა ცირუ ძალიან გაახარა. ის, მით უფრო მიეცა აღტაცებას, რო პირობა მტკიცეთ იყო აღთქმული, რაც მას. უეჭველათ, სჯეროდა. საჭირო იყო მხოლოთ ტუტუს მოსვლა, რო საკითხი დაბოლავებით გადაწყვეტილიყო, რის გამო, დედა და შვილი მოუთმენლათ მოელოდენ საღამოს, როცა ტუტუ უნდა მოსულიყო.

მართა მეტათ მხიარულათ დაუხვდა ყა-

ნიდან დაბრუნებულ-დაღალულ ტუტუს, ის ღიმილით შეხვდა ჭიშკართან, მიეხუნტრუცა და ისეთი სიტყვები დაუხურდავა, რო ტუტუ ერთბაშათ მოიხიბლა ამ არაჩვეულებრივი შეხვედრით. ის ყოველთვის წყრომა-უსიამოვნებას ითმენდა ცოლისგან, რომელიც დღეში რამდენჯერმე დააყვედრებდა იმასაც, რო ქმარი ვერ იყო ცოლის საკადრისი, რო მართა უკეთეს კაცს შეშვენოდა ცოლათ. ტუტუ არ იყო ღირსი ცოლის პატივისცემისა, მორიდებისა და ერთგულობისაც-კი, რის გამო, ალალმართალი ტუტუ, რომელსაც არ უყვარდა ჭინჭყლი და ერთხელაც არ შებრძოლებია ცოლს ასეთ შემთხვევაში, ყოველთვის დამარცხებული გამოდიოდა ამ ზნეობრივი ბრძოლიდან და ეს მუდმივი გამარჯვება ათამამებდა ცოლს ქმრის უფლებები შეებოჭა და თავისუფლათ ეპარპაშა ქმრის კისერზე, რაც, არა თუ მეზობლების თვალში, თვით ცოლის წინაშე უკარგავდა მამაკაცს ფასსა და ღირებულობას... ეს საღამო კი არაჩვეულებრივი იყო ტუტუსთვის. ის სასიამოვნო ღიმილი, ის სანეტარო ალერსი, გრძნობის გამომხატველი თვალები, ნამდვილი ამხანაგური ნიშნების მაჩვენებელი თანაგრძნობა ერთობ სიზმარივით მოეჩვენა მას. ის სიამოვნებით დანებდა ცოლს, რომელმაც დაბანა გამტვერიანებული ფეხები, რაც მათს ცოლ-ქმრობაში პირველი შემთხვევა იყო, დააბანია ხელ-პირი, გამოაფხიზლა და მოუსვა ჩინებულ ვახშამს... ქალი ერთობ გრძნობით აღვსილიყო და თითოული მისი სიტყვა უკვდავების წყაროთ ეპკურებოდა, ცოლის ამ გვარ ქცევით, განცვიფრებულ ტუტუს გულს. იმ წამში მას ცოლი ისე მოეწონა, რომ ერთი სიტყვა-ღა იყო საჭირო, რო ქმარს დაუზარებლათ მიერთმია ცოლისთვის მთელი თვისი სიცოცხლე, მარა დიდხანს არ დაცლია ტუტუს ამ ნეტარებაში შესვენება. როცა ცოლი საკმაოთ დარწმუნდა, რო ქმარი მოხიბლა, მოაჯადოვა, თანდათან შეაპარა ლაპარაკი იმაზე, რისთვისაც მან ეს უბარი ხერხი იხმარა.

— იცი რა გითხრა?.. გრძნობით დაიწყო მართამ.

— რას იტყვი, გენაცვალე?—გრძნობითვე კითხა ტუტუმ.

— ჩვენი ცირუ ძაან მოწყენილათაა და ბევრიც იტირა დღეს.

— რეიზა, თუ გიყვარდე; ავათ ხო არაა?

— არა, ავათ არაა, მარა ძაან გულდაწყვეტილია.

— რა მიზეზია, ვერ გეიგე? რამ შიაწუხა?

— რა და—აგერ ხელში შეგაბერდითო, ჩითის კაბის მეტი ჯერ არაფერი ჩამიცვამსო და იმიზა ტკივა გული.

— ᲰᲛ, ეს სიღარიბემ იცის წყეულმა, თვარა შვილი ვის არ უყვარს? მეც სულ იმას ვფიქრობ, რო კარგათ გამოვაწყო, კარგათ ჩავაცვა, დავახურო და სხვაზე ნაკლებ გამოწყობილი არ მყავდეს. მარა ჯერ ასეა, და ღმერთმა, თუ რამე მაღირსა, პირველათ იმას გამოვაწყობ—მორიდებით თქვა ტუტუმ, მარა ისე მტკიცეთ კი, რომ უტყუარი გრძნობაც თან გაატანა.

— ფიქრით, ბარემ, მეც ვფიქრობ, მარა რა გამოდის აქედან? კი ისაა, რო ხელში გქონდეს რამე, თვარა ცარიელი ფიქრი ვის, რათ უნდა?

— კი ბატონო, ისიც კაია; კეთილი ფიქრი ყოველთვის მარგებელია... ყოველთვის არ ვიქნებით ღარიბი; ერთ დღეს ჩვენც მოგვცემს ღმერთი ჩვენს წილს, ფეილოცა მისი სამართალი.

— აპა! მოგცემს და არც არაფელი!.. კაი ხანია გევიძახით: —მოგვცემს, მოგვცემსო, —მარა ჯერ არაფელი მოუცია!., დღეს კი არა, ხვალ წევიმატებთო, გაისათო, გარდამეისათო, მარა ჩვენ წამატებას არაფელი ეშველა, რაცხა საკირეში ჩაუწყეველივართ*) ვინცხა ურჯულოს. საჭმელი ჩვენ არ გვაქ და სასმელი, ტანი და ფეხი, მამული და ქონება, ბაღნები ტიტველი დაგვიდის და არც ჩვენ ვართ გახარებულათ, ერთი ქალიშვილი გვყავს და ისიც ვერ გამოგვიწყვია, აწი რავალი ქა-

*) საკირეში ჩაწყეველა, დაბიო ხალხს დიდ წყეველათ მიაჩნია სამეგრელოში. ავტ.

ლიშვილი, მერე? გამლელი იმას კითხულობს და გამომლელი: — „ბედნიერია ამათი მშობლებიო“, — ეუნობენ და ჩვენ სულაც არ ვფიქრობთ იმაზე, რო რამე ჩავაცვათ და ხალხში გოურიოთ... აგერ, აღდგომა მოსულია, ვისაც ღმერთი მხიარულათ გოუთენებს და გულდაწყვეტილი ბოვში შინ გვიჯის; ორი ხუთშაურიანი ჩითის კაბა, თუ მოუძებნეთ მიწურულში, ის ეყოფა, გვგონია, და იმას კი არ ვამბობთ, რო ძღაბი*) გასათხოვარია აწი და სხვა ნაირათ უნდა ყურის გდება.

— კი მარა, რაც არ არის — არ არის და უნდა მევითმინოთ, მარა, — გულდაწყვეტილათ უთხრა ტუტუმ.

— რომ არ არის, უნდა ვიშონოთ; შენ რო არ გქონდეს, ძღაბი რა შვაშია? რაც მეითმინა, ისიც ეყოფა და ახლა ყოველთვინ ხო არ დეიჯერებს? ის კი არა და მისმა ტირილმა სული და გული შემიწუხა დღეს... ამისგან ხედავს, იმისგან ხედავს და ისიც რო მეითხოვდა, არ გეგონა? — ოდნავ საგრძნობელი წყენით შეწყვიტა სიტყვა მართამ.

ტუტუ ჩაფიქრდა. წამს უკან ნაგრძნობი სიამოვნება გაუქარწყლდა და ხელ-ახლა წარმოუდგა თვისი მუდმივი თანამგზავრი ჭირ-ვარამი... ის კარგათ მიხვდა, თუ რისთვის აუყვანია მეშვიდე ცამდი ზის მეუღლეს, საიდანაც კისრის ტეხით მოდიოდა თავქვე საბრალო ადამიანი. მიხვდა კი, ყველაფერს კარგათ მიხვდა, მარა, რა მერე? — აქ სხვა ლაპარაკი არ შეიძლებოდა: ან უნდა მოეტანა, რასაც თხოულობდენ, ქონდა, თუ არა საშვალება, ან დამნაშავის კისერი უნდა წაეშვირა წინ, რო მაზე შემხტარიყო გაუკითხავი დედაკაცი და ბარბაროსულათ გაეთელა ის. მან დიდხანს ვერ გაბედა სიტყვის თქმა; ის უაზროთ ფიქროობდა: „აღდგომა!.. აღდგომა — აღდგომა!.. ნეტაი, სულ არ იყოს ეს აღდგომა!.. რეიზა მოდის? განა იმიზა, რო მე გამასწოროს დედამიწასთან?.. საბრალო, ჩემო თავო! მთელი დღე სისხლის ოფლი უნდა ვღვარო, რო ლუკმა ამოვთხარო ი ჩასაქცევ დედამიწიდან, შინ ვბრუნდები და გული უნდა წოუშვირო ამ გველის წიწილა ქალს საწიწკნათ და საკორტნათ! შინ ჯოჯოხეთი, გარეო ჯოჯოხეთი! ოხ, ოხ, ჩემო თავო!..“ ამ ფიქრებით მას სიტყვა პირში შეუჩერდა, მარა განაგრძო ცოლმა:

— რა ჩვენზე მდიდრებია, თუ იცი, სისონიკა, ბახვაია, კოსტაია, რომ იმათი გოგუები თავადის ქალებივით გამოწკიპულები დეიარებიან? რა გინდა იმათ არ ქონდეს? შალის კაბა ერთი, მეორე; იუკა აბრეშუმის ფარფო კურჟევით გაწყობილი; მაღალ ქუსლიანი პოლსაპოჩჩი, ი ქუსლები ჩავარდნილი რო აქ; რუბაშქები რავალი გინდა, შლაპა და კიდევ, რა გინდა?!. მოვკვდი — მოვკვდი, გავთავდი ქალი, კვირეს რომ იოსიკას გოგო ვნახე სატირალში. გამოჭიმულიყო, ბატონო ვაჭრის შვილინით; ქალი მაინც იყოს! ჯოჯო, გომბიო, რაღაც სამაგელი და ხმალივით გადეკიდა მხარზე მარუაა, თუ რაცხა რო არი; გაშლიდა, ბატონო, გეიქნევდა იქითაქეთ სახეზე, პირს გეიგრილებდა, დაკეცდა ისევ, გოუშობდა ხელს და მისით ჩამოეკოწიალებოდა ვგერდზე ის მარუა.

— მერე რა კაია ეს, მართა? — ძლივს გაბედა ტუტუმ. — ოსიკას ძღაბი რაღა მაინც და მაინც სატირალში დეიწვა სიცხით, როცა ხვთისრისხვა სიცხე დღეს შვიდი-რვა კაცის სადილ-ვახშამს აკეთებს ყოველ დღე და არ დამწვარა? აბრეშუმის იუპკები ახლა ვიცხა-ვიცხებს რომ აცვია, ღმერთი რავა არ უნდა გაწყრეს ქვეყანაზე?.. ჰაი, — ჰაი, „კაი დრო მოვაო“, უნობდენ და კაი კი ერა, მგონი, სუთლათ გადირიოს ქვეყანა!..

— ჰო, რეიზა არ ჩეიცვამს, თუ იცი, იოსიკას შვილი როა, იმიზა თუ?! მადლობა ღმერთს, ახლა ქვეყანა გაწორებულია: გლეხი და თავადი სულ ერთია!

— იმას არ გეუბნები, ჩემო მართა, რო ქვეყანა გოუწორებელი იყოს მეთქი, იმას უნობ, რომ აქ, თუ არა, ერთიმეორის წახედულობით წყდებიან; გეიარს ერთი ვიცხა ქალაქში, შეხედავს რაცხა ჯანაბის მოდაა,

*) გოგო, ქალიშვილი.

ეიტეხს მერე ერთი ვაი-უბედურობას და ერთი კაბიზა ყოლიფერი რო დააგირაოს მაინც არ ეშურება. — „იოსიკას თეკლეს მარუა კიდიაო“; — რაი, მერე? — იოსიკას თეკლე ხვანთქრის ტანსაცმელშიაც იოსიკას თეკლეა და თეკლე!.. დალოცვილო, შეიკერე უბრალო კაბა, ჩეიცვი სუფთათ და, თუ ვარგიხარ, იმაშიაც გამოჩდები, თუ არა და კაბა კი არ გააკეთებს!..

— ამას იმიზა უნობ შენ, რო ყიდვა არ შეგიძლია და საჭირო თუა, არ გგონია, — წყენით გააწყვეტია სიტყვა მართამ.

— შე დალოცვილო, საჭირო სხვაც ბევრია, მარა იმიზა კი არ იდებენ ვალს!... მიწის ბაჟისთვის ლები და საბანი გოუყიდეს გუშინწინ თედორიკას და იმის ძღაბს რო შეხედო, აბრეშუმის იუბკით დაშრიალობს!.. პაპიროზის ქაღალდივით თხელი ჩითი უყიდია რუბაშქათ, მიყოლია და ნაკუწ-ნაკუწათ უქცევია, მერე მისულა და, კურთხევა შენს სახელს, უფალო, რას არ მეიგონებენ ე ჯიბის მტრები, კურჟევაა, თუ რაცხა ჯანაბა, რო არი, იმით გადუკერებია ერთი-მეორეზე. ვითამ რაო და ხორცის კანი უნდა გამოიჩინოს! კაი მიეცა იმას, კაი იმას უქნია!.. გამოწყობილიყო, ბატონო, პარასკევ საღამოს, გული გამეებზიკინებია, თავი მაღლა ეეღო და ისე დაბძანდებოდა, რო გულზე შემოყრიდა კაცს... ვის გააკვირებს ამისანა ჩაცმით გლახა თედორიკას შვილი?.. რაცხას იყო მოაყოლა, გუშინწინ, ჩვენმა ნესტორამ და მითხრა, რო ვილაცა უცხო კაცს უთქვამს: „საკვირელი ხალხი ყოფილა აქანეო, სახში რო შეიხედო, სულ ხუთი მანათის არაფერი მეეძევათ, იმათ სადგომში კაი მეოჯახე ქათამსაც არ დაამწყდოვსოდა, როცა გარეთ გამოდიან, ბურჯუაძეები გეგონებათო...“ ოჯახი დაიბსო და კაბა იყიდაო, ამაზე უბედურობა რაღა იქნება?..

— შენ მარტვა გინდა ამისანა კალონი გამოამცხადო? მოკლეთ კითხა განაწყენებულმა მართამ, რომელიც მეტათ გაეჯავრებია ტუტუს სიტყვებს და, ის იყო, ლამობდა იერიში მიეტანა ურჩ ქმარზე, რასაც ვერ მიმხვდარიყო ტუტუ.

— დაწყევლოს ღმერთმა იმათი კალონი? რა უნდა ღმერთს, რო მარტვა საადგომოთ ვიყვე მაგათი უფროსი! რამდენი უსახურ კაბებს და კალათივით ქუდებს ჩავწვავდი ცეხში!.. რავა გადაბრუნდა, შენი ჭირიმე, ქვეყანა! რავა გადირია, ე რო არაფლათ ვარგა, იმისანა ხალხი!.. იმიზაა კიდემაც ჩვენ მამასახლისს მოუხსენებია თავრობისთვის: — „სოფელი მდიდარია, რასაც იხთის, ორი იმდონის გადახთა შეუძლიაო“. — იმდონი შველა მის ოჯახს! ოუწევიათ ახლა და მართლა ორი იმდონი შეუწერიათ. მიდი და უგე ახლა პასუხი! ან რეიზა შეგვიბრალებენ, თუ იცი? ჩვენი თავი ჩვენ თითონ არ გვებრალება, რამდონიც ვართ, ათი იმდონობას ვჩემულობთ და ვიცხა კაცს სულა რას ებრალები? „განათლებააო“! — ღმერთი იმდონს გაანათლებს იმათ ოჯახს! განათლება კი არა, თლათ დაფსება ახლა მევიდა!

— ჰე, ახლა ამან მოუხსნა, ძველებურათ თავი გუდას, — წყენით და თავდავიწყებით გააწყვეტია ქმარს სიტყვა ცოლმა, — აწი ამის ქადაგებას საშველი არ დაადგება! ამას ნაჩალნიკობა რო მიცა, სუყველას კაბას აგი დაწვავს; ამას სუდიობა რო მიცა, სუყველას ციმბირში გაგზავნის, ვინც ქუდს დეიხურავს და, რა გინდა, ამან არ ქნას?! საოცარია, რო ყოველი გლახაკი ენითაა გამოტენილი!.. შე გულმტრის შვილო, ამისანა ჭკუის კოლოფი, თუ ხარ, რეიზა შენს თავს არ აჩნია შენი ჭკუა? თვალები რო დაგიმსო შენმა გამჩენმა, რეიზა არ ხედავ, რო შენისანა გლახები ჭკუას ვერ დეიჩემებს! ღარიბი რო ხარ, შე ნეხვო, ეს ისაა, რომ უჭკუო ხარ და შენი ქადაგებაც არ ღირს ყურგახვრეტილ კაპიკათ. რავა ენათ გადიქცა შენი ჭირიმე, ეს ამალამ!.. მე რას ვეუბნები და იგი რას მიქადაგებს აქანე!.., შავათ გაგითენებ, შე უბედურო, აღდგომას, თუ ერთი ვარი გაგიბედნია და ძღაბი არ გამოგიწყვია! — მრისხანეთ დაუმატა მან, საჩხუბრათ გამოსაწვევი კილოთი.

ტუტუმ თავი ჩაკიდა. ის კარგს არას მოელოდა, იცოდა, რო მისი მეუღლე არ შე-

არჩენდა ასეთ გულახდილ მსჯელობას და ნანობდა კიდეც, რო დაავიწყდა, თუ როგორ აჯილდოვებდა მას ცოლი ასეთი თავგასულობისთვის! ის თავის თავს ემდუროდა, რო ვერ მიხვდა ქალის ოინებს, რომელმაც გამოიტყუა სალაპარაკოთ. მას გული უწუხდა იმ მოლოდინით, რო ცოლი უზომოთ გათითხნიდა და მანამ არ მიატოვებდა ლანძღვა-გინებას, სანამ ძალა და მასალები არ შემოელეოდა ამისთვის... მარა ჩაჩუმდა ქალი. მას რაღაცეები წარმოუდგა და ენა მოეკაკვა, ტუტუსაც ეს უნდოდა. იმას იმდენათ ქონდა თავი მობეზრებული ცოლის საქციელით, რო თანახმა გახთებოდა თავის თავშესაფარი ქოხიც კი გაეყიდა ცოლის ბძანებით, ოღონდ არ დატრიალებულიყო მათ შორის ის უსიამოვნება, რომელსაც იმდენათ ერიდებოდა ქმარი, რამდენათაც ის საუკეთესო საშვალებათ მიაჩდა ცოლს.

— კაი, ბატონო, მაპატიე, — კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ, ძლივს წარმოთქვა დაფთხალმა ტუტუმ, რა გაქვს ჩემი საკითხი?.. ოღონდ გლახათ არ წევიდეს საქმე და როგორც გინდა, ისე ქენი.

— ჰო და ასე თქვი; გასათხოვარი ქალიშვილი ტიტველი მიჯის სახლში და აქ რა დროს ქადაგებაა! წროულს მაინც რა პირით უნობ ვარს, რო მოყევი და ქვეყნის ამბავი მოაყოლე ერთი ძღაბის კაბას! ვერ გეიგე, რო ძველი დრო არაა, წევიდა ის, აწი არ მობრუნდება? ახლა სხვა ჩაცმაა საჭირო, სხვა გავლა და სხვა გამოვლა... აღდგომა აღდგომაა და წროულს მაინც არ წევიყვანო ცირუ „პეტრობაზე", ის ღმერთმა ნუ ქნას. ყოველთვის კი არაა ახალგაზდობა! გეივლის, გამეივლის, თვალი გოუტყდება; მე მკითხე შენ და გამოსაჩენი არაა! ვიცხას იქნება მეეწონება ერთ კაი ბიჭს, შეირთავს და იქნება ის წერია ჩვენს ბედზე, რო სიძემ გამოგვიყვანოს სიღარიბიდან... ვინ მიხედავს შენ გაპუტულ გოგოს ახლანდელს დროში? მე მკითხე შენ და გვარი, მამიშვილობა არ გამოადგეს რამეში!

— კაი, მარა ამდონი ლაპარაკი რათ უნდა ამას? ფული რო არა გვაქ ახლა, ამას შენც კი ხედავ. რამენაირათ გამოაწყვე საქმე და მე თანახმა გაგიხდები. უთხრა ცოლს გულჩათუთქულმა ტუტუმ.

— აწი მე მეუბნები კი არა, შენ უნდა ქნა — კაცმა, თვარა მე რა შემიძლია — ქალს.

— მე ვიზამ ჰო — მე, მარა შენ წინდაწინ მეელაპარაკე ვაჭარს... თამასუქს მივცემ, რავდენსაც მეტყვის და, რავაცხა ღმერთი რამე საშველს მომცემს, გევისტუმრებ და ის იქნება.

ამით დაკმაყოფილდა მართა. უფრო კი ცირუ მიეცა აღტაცებას იმ წარმოდგენით, რომ ის გამოეწყობოდა, არც ერთ დღეობას არ დააკლდებოდა. და განსაკუთრებით-კი წავიდოდა დ. ს — ში — დღეობაზე, რომლის შესახებ ბევრი რამეები ესმოდა და ეს გარემოება ასნაირ სიამოვნებას აღვიძებდა მის გულში... ერთათ ერთ ტუტუს გულში ტრიალებდა ჯოჯოხეთი. მას წარმოდგენილი ქონდა, რო სამი ოთხი თუმანი, რაც სწორეთ სჭიროდა ცირუს გამოწყობას, ისეთი ვალი იყო მისთვის, რომ არც კი იცოდა, რა საშვალებით გადაეხადა ეს. გასაყიდი არ გააჩდა რამ და დასაგირავებელი, რო ბოლო მოეღო უსაშველო მოთხოვნილებისთვის. ერთათ ერთი მისი ქონება და იმედი არსებობისა იყო ის შვილივით ნაზარდი ხარები, რომლებსაც ის წამ და უწუმ თავს ევლებოდა და მათი ერთი შეხედვა მის დაკოდილ-ღაბეჩავებულ გულს ამთელებდა... ეს ხომ ხელშეუხებლათ მიაჩდა და სხვა წყარო შემოსავლისა არავითარი არ ქონდა... მარა ერთი რაღაც იმედის პატარა ნაპერწკალი მირჩენილიყო ტუტუს დაოსებულ გულის სადღაც კუნჭულში და ეს იყო ის, რომ ამ შესანიშნავ ვალს, სოფლის გაჭირვებული ვაჭარი, ტუტუს დაცემულ ოჯახს არ ენდობოდა და სწორეთ ამაზე დამყარებული იყო მისი იმედები... ტუტუ აგრეთვე გრძნობდა თვის დიდ შეცთომასაც, სახელდობრ იმას, რომ ის, როგორც გულღია ადამიანი, აჩქარდა და უდროოთ გამოუცხადა ცოლ-შვილს, რო მომავალი ნამუშევრიდან ას მანათს ჩამორჩებოდა, რაც მან ოჯახის კეთილდღეობას

აღუთქვა და ეს გულკეთილობა ოჯახის მოყვარული ადამიანისა ცოლ-შვილმა სულ სხვანაირათ მოიხმარა. არა ეს უდროოთ გადამცთარი სიტყვა, არა ეს, მთელი ოჯახის შეხედულობით, მომავალი, ვითომც უტყუარი იმედი,— შესაძლებელი იყო ტუტუს ცოლ-შვილს არ მოეთხოვა ის, რაც ტუტუს მძიმე ტვირთათ დააწვა კისერზე, მარა ამ შეცდომის გასწორება ახლა ნაგვიანევი იყო.

კირილე წუთისოფლელი.

(შემდეგი იქნება).

დაღუპული ოჯახი.

ზამთარია. ქარი შხუის. სოფლათ, ვისაც ბუხრიანი სახლი არა აქვს და შიგ ცეცხლი არ ღუღუნებს, ყველა სიცივისგან ცახცახებს. თუმცა თოვლი არ არის, მარა ზამთარი მაინც თვის სიმკაცრეს არ იშლის. გურიის ერთ სოფლის განაკიდეს, რომელიც რკინის გზიდან სამი, თუ ოთხი ვერსით იქნება დაშორებული, ერთი ქოხი დგას, სოფლურათ რო ვთქვათ, პატარა ბოყვიანი სახლი. სახლის ირგვლივ სიმიდის ჩალის გადანაჭერ ნაღერალებს, ისე აბზუილებს ქარი, რო გულის შემზარავ ხმათ ეჭდევა კაცს გულში. სახლის შუა ადგილს პატარა ცეცხლის სინათლე ბჟუტავს. ერთი შუახნის დედაკაცი, რომელსაც დუხჭირი ცხოვრებით ილაჯი მილევია, ძლივს მოკიაფე ნაკვერცხლებს ჩაჩერებია, მეტი ფიქრისგან ძილი გატეხია და ათას ნაირი ფიქრები დაფუსფუსებს მის მოსაზრებაში. აგერ, შუაღამეა და მის თვალს ძილი არ მიკარებია. უეცრათ ქარმა დაბერა, ბოკონიდან შამოიჭრა და ცეცხლის ნაღვერდალი გაფანტა. ქალი გამოერკვა და თითქოს გულმოსულათ წამოიძახა: დალოცვილო ღმერთო! აი ქარი რაღა რისხვათ მოგვივლინე კიდევ! თითქოს აგი გვაკდა... მთელი ქვეყანა თოფის ფუტშია გახვეული და ტყვია ისე ცვივა, თითქოს სიმიდის კაკალს თესავს ყანაში მუშაო. ჩემი ქმარი, საწყალობელი საყვალაი ბედნიერი ყოფილა, რო მალე უშველა თავს და გუუდგა გზას. ჩემი დღეი უბედური! სიკტილის დროს მითხრა: ჩემო სალომა, ნუ გეშინია, ორ ბიჭს გიტიეფ და შენი დარჩენა იგინს არ გუუჭირდებაო! სადაა, მერე? უფროსი შვილი ოსიყმაი, რო სალდათ წეიყვანეს, აგერ, ნახევარი წელიწადია და ერთი წიგნის მეტი არ ბუუწერია. მას შამიევლო დედა: ხუთჯერ „ატაკაზე“ ვიყავიო და ქი გადამარჩინა ღმერთმა და ხვალ კიდავ მივდივართო. ნეტაი, ვიცოდე რაცხა ეშმაკია იგი „ატაკაი“? უთუოთ კაცის მჭამელია რაცხაა! მიკვირს! აქანაი სკვინჩას არ აცილებდა მაჭახალას და იგი რაცხა „ატაკაია“ ვერ დუუშინეს ყველაყამ და ჩაკლეს?! იქნება სული აღარ უდგია უბედურ დედა მისს ახლა... ამბობენ: ჭარხალივით ყრია კაცებიო. უბედურ ოსიყმაის დედას ქე უდგია სული და იქნება იმას ყვავი და ყორანი კორკნის... ვაი, შვილო, თუ მიწაში ჩაგდებაც აღარ გეღირსა! გუშინ ბზეხათუნაი გელაპარაკებოდა: ვოჯო, მარტყუაი შენ რა გატირებსო, მთელ საქართველოში მოსახლე არაა ისე, რომ: ან შვილი, ან მამა, ან ძმაი, ან ძმისული არ ყავდეს ომში წასულიო და შენ მარტუაი ხომ არ ხარ მასეო. აგი მართალია, მარა ჩემი შვილის მაგიერობას სხვაი ვინ მიქს! ამბობენ: აგი ომი რო გათავდება, ქვეყანას შვიდობა მოეფინებაო, ყველაყაი ბედნიერათ იცხოვრებსო და, არ ვიცი, რომელ ბედნიერებაზე ამბობენ. ვაი, შვილო ოსიყმავ! შენ თუ ვერაფელს მოესწრობი, სამიწე დედა შენს, რათ უნდა რამე?

ქარი კვლავ ზუზუნს განაგძობდა. ხან და ხან ცეცხლიდან ამოკიაფებული სინათლე სახლის კედელს მოანათებდა. კედელზე თარო მოჩანდა, რომელზედაც ჩამომწკრივებული იყო ჯამ-ჭურჭელი და სადილ-ვახშმისთვის საჭირო ავეჯი. მუხურში ორი წყლის კოკა და ორი დოქი იდგა. ერთ კედრით გძელი

ფიცრის ტახტი იყო მიჭედილი კედელზე, რომელიც კედლიდან კედლამდი უწევდა სიგძით; ერთ თავში სალომეს ქვეშაგები იყო მიკეცილი. მეორე თავში-კი სალომეს მეორე ვაჟი იწვა, — გოგია. სულ ბოლოში ბაგა იყო გაკეთებული და შიგ ერთი ძროხა და ერთი გასახედნი მოზვერი ება. წინ ბაგის საპირეზე ძუძუმწოვარი ხბო იყო მიბმული. ძროხა, ხან ხბოს უალერსებდა და ხან მწლაქიმწლუქით ყბას ანძრევდა და იმცოხნებოდა. ეს იყო სულ ოჯახის ალიან ჩალიანი. სალომე წამოდგა, ერთი გადახედა გოგიას ლოგინს და იფიქრა: მადლობა ღმერთს, რო ჩემი გოგია მაინც სახლში იმედათ მყავსო. გადიწერა პირჯვარი და მიწვა თვის ლოგინზე. ცოტა ფიქრის შემდეგ, კიდევაც მიეძინა.

გათენდა დილა... ქარი უკუმდგარიყო, საამური დღე იყო. ზამთრის პირობაზე თბილოდა. მოწმენდილი ცა, ბრწყინვალე მზე არემარეს შვენოდა. სოფლებს საქონელი გარე გამოერეკა. ძროხა, ხარი და ცხვარი, თუ რამ იყო, ზოგი ზამთრისგან შეწუხებულ ბალახს ლუღნიდა და ზოგსაც მზის სითბოსთვის ზურგი მიეშვირა და ითბობდა. სალომე და მისი გოგიაც ამდგარიყო. შუა ცეცხლი გაეჩაღებია, ცეცხლის პირას ცივი მუადები ჩაეფიცხებია და გაფიცხებულ მუადს, გოგია მადიანათ შეექცეოდა. ამ დროს მეზობლიდან ქალების კივილის ხმა მოისმა. თან ძაღლებმა ყეფა ატეხეს. გოგიამ მუადი ხელიდან გაადგო, წინ გოგია გაიქცა და უკან სალომე დაედევნა. მეზობლისას გოგიამ მიასწრო დედამის და თქვენს მტერს, რაც მან იქ გაიგონა! ვიღაცას ამბავი მოეტანა: სალომეს შვილი ოსიყმა და მისი მეზობლის ვაჟი, რომელნიც ომში ერთათ იყვენ წასული, ორივე ავსტრი-უნგრეთის საზღვარზე მოუკლავთო. გაიგონა გოგიამ ეს, თუ არა ყვირილი მორთო და გარე გამოვარდა: ვაიმე, ძმაო ოსიყმაო. ამ დროს სალომეც მივიდა და რა მისი შვილის ხმა და თან ოსიყმა სახელი გაიგონა, ერთი ორი შეკივლა და ქვე დაეცა ცოცხალ-მკვდარი. შამოესიენ მეზობლები, ასხეს წყალი და ძლივს-ძლივობით შამოაბრუნეს. მეორე დღეს ძლივს გონზე მოვიდა; კვლავ იწყო ლოყების კაწვრა და თმების წეწვაგლეჯა. მარა ყველაფერს დასასრული აქ და იგიც შეჩერდა.

მოვიდენ მეზობლებიც, იწყეს თათბირი, თუ როგორ იტირონ ჩვეულებრივათ, რადგან აქ მიცვალებული არ ესვენა! მეზობლებმა და გამოცთილმა ნათესავებმა ურჩიეს: ასეთი საქმე სხვებისაც მომხთარაო და ასე ვქნათო: ნიშანი (ტანისამოსი) დავაფინოთ და ვიტიროთო. მართლაც, ასე მოიქცენ. ერთი ქცევა მიწა გაყიდა გოგიამ ექვს თუმნათ. ზოგიც შესაწირის იმედით შეუდგენ ტირილის თავდარიგს. იყიდეს პურები, საჭამადი, ღვინო; შეიკერეს შავები. მოიწვიეს მოყვრები, კუთხემეზობლები, ღვდლები და ჩვეულებრივათ შეასრულეს ტირილი და ვაება...

ტირილის დღე ძალიან მწვავე იყო დამსწრეთათვის. დიდი და პატარა, ყველა გულ ამოსკვნით ტიროდა. ისეთი კაცი ძვირათ ერია ტირილის დღეს, რომ ან შვილი, ან ძმა, ან საყვარელი ნათესავი ომში არ ყოლოდეს და ყველა თავთავის მომავალ უბედურებას ტიროდა.

პურღვინო ჩიხატალახათ ქონდა ყველას. ბევრი დათვრა; ზოგი შესანდობელს სვამდა და ზოგიც ჭირისუფლის სადღეგძელოს. უტოლუმბაშო სმა იყო და ვისაც, როგორ სურდა... შეზარხოშებული ხალხი ძლივს თავს იკავებდა, რო მრავალჟამიერი არ წამოგვცთესო. მეორე დღეს ბევრი აქებდა მასპინძლობას და ბევრი აძაგებდა: ღვინომ მაწყინაო. ასეა, თუ ისე, ყველა კმაყოფილი იყვენ, მარა ღვდელი, მოძღვარი-კი ვერ იყო კმაყოფილი. ამბობდა: ამ დალოცვილმა ამდენი ხარჯი გაწია და ღვდელს საწირავი არ უნდოდაო?!

გათავდა ტირილი... გოგიამ შეეხვეწა მეზობლების ბიჭებს და ტირილზე საჭირო, რაც ქონდა ნათხოვარი: საინები, ჭიქები, დოქები, სუფრები, ქვაბები და სხ. პატრონებს დაუგზავნა. მინგრეულ-მონგრეულ ოჯახს, ეზო-მიდამოს დაუწყო დალაგება და, როგორც იქნა, ერთ თუთხმეტს ძლივს რიგში ჩაყენა.

რ. საკაკიხელი.

(დასასრული ინქება)

ᲑᲐᲑᲝ.

(მოთხრობა).

(იხ. გაგძელება „განთიადი“ № 6).

V.

რა რომ ბაბოსთან საქმე სასურველათ დააგვირგვინა, გიგლამ, თითქოს მძიმე ტვირთისგან გათავისუფლდაო, თავისუფლათ ამოისუნთქა. ბაბომ გაიზიარა მისი აზრი და შეგნებულათ თანაგრძნობა გაუცხადა მას. ამის შემდეგ, სხვა დაბრკოლება, როგორიც არის, მაგალითად, ბაბოს მშობლების „გადამწყვეტი სიტყვა,“ ჩირათ არ მიაჩდა მას. აქ საჭირო იყო მხოლოთ შეყვარებულთა ერთსულოვნობა და თანაგრძობა, რომელიც უკვე არსებობდა მათ შორის.

მშობლებმაც იმდენი გამჭრიახობა და შორსმჭვრეტელობა გამოიჩინეს, რომ აღარ ისურვეს თვისი „ვეტოს“ დადება ახალგაზდების გადაწყვეტილებაზე და მშობლური ლოცვა-კურთხევა მიუძღვნეს მათ სიყვარულით აღსავსე გულით.

ამას მოყვა ნიშნობა და მისი აუცილებელი თანამყოლი კამპანია დაუსრულებელი ქეიფით.

ნიშნობის დღიდან სრულმა წელიწადნახევარმა განვლო... გიგლა უფრო მჭიდროთ დაუკავშირდა ქაიხოსროს ოჯახს. იგი საცხოვრებლათ მათთან გადასახლდა, ერთი პატარა, ქუჩისკენ მდებარე ოთახი დაიჭირა და თვისი ხაბაკ-ხუბაკი, რომელსაც შეადგენდა: რკინის სკამ-ლოგინი ძვირფასი ქვეშაგებითურთ, ბამბუკის საწიგნე, მოზდილი ყუთი სხვა და სხვა წიგნებით და ნახატებით სავსე და სხვა მრავალი წვრილმანები, რომელიც უკოლ-შვილო კაცის ცხოვრებას ახასიათებს საზოგადოთ, იქ გადაზიდა.

ოთახის მოწყობა პელომ იკისრა, რომლისთვის არ დაშურა თვისი ცოდნა და ენერგია, რამაც უნაყოფოთ არ ჩაუარა. ოთახი კოხტა პატარძალივით მორთო, ასე რო შიგ შესვლა ერთგვარ სიამოვნებას გვრიდა ადამიანს. მიუხედავათ ამისა, გიგლა დასაძინებლათ თუ შეეიდოდა შიგ, თვარა დანარჩენ დროს სულ ახალ მოყვრებთან ერთათ ატარებდა. იგი ახლა შინაურ კაცათ ითვლებოდა ქაიხოსროს ოჯახში და, წარმოიდგინეთ, უბრალო საკითხიც კი არ გადაწყდებოდა ისე, რო გიგლას არ დაკითხებოდენ, მისი რჩევა-დარიგება არ მოესმინათ. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რო ქაიხოსროს ვაჟი არ ყავდა და ეს უფრო აღრმავებდა იმათ შორის კეთილ განწყობილებას ლ სიყვარულს.

გარეშე ამისა, მათ საერთო ინტერესიც ქონდათ: ბაბო, რომელიც ერთნაირადვე საყვარელი იყო ორთავე მხარისთვის, საბგბიო ინსტიტუტში სწავლობდა, რაც დიდ ხარჯს იწვევდა და, თუ არა შეერთებული ძალა, ერთისთვის, ძნელი ასატანი იყო ამოდენი ხარჯი. მართალია, ბაბოს ბებიათ აღზრდა გიგლას სურვილი იყო, რაზედაც ქალის მშობლებიც თანახმა გაუხდა, ხარჯებიც გიგლას ქონდა ნაკისრი, მარა მიუხედავათ ამისა, ისინი შედიოდენ გიგლას მდგომარეობაში და შეძლებისდაგვარათ დახმარებას უწევდენ მას. ბაბო ახლა გასათავებელ კურსზე არის და დღეს, თუ არა ხვალ საბებიო მეცნიერებით აღჭურვილი ესტუმრება საყვარელ მშობლებს, გიგლას... ისინი მოუთმენლათ მოელიან ამ სანეტარო დღეს და არ ზოგვენ არავითარ საშვალებას, ოღონდ კი მათი იმედი, ბაბო, კარგათ იყოს და არაფერი მოაკლდეს ამ შორეულ ქვეყანაში.

გიგლა შეპირებისამებრ ყოველ თვეში ნახულობდა ბაბოს. იგი ისე არ წავიდოდა თფილისს, რო რაიმე საჩუქარი არ წაეღო მისთვის.

აგერ, შობის დღესასწავლებიც მოახლოვდა და გიგლა განსაკუთრებული „ძღვენით“ უნდა წავიდეს ბაბოსთან. ამისთვის „წყეული ლითონი“ არის საჭირო, რომელიც ამ ბოლო ხანებში ძლიერ გაუძვირდა მას. გიგლას, შედარებით, მცირე ჯამაგირი ვერ ფარავდა ამოდენა გასავალს და იგი ხშირათ მევახშეებს მიმართავდა ხოლმე. მევახშეებიც, რასაკვირველია, სარგებლობდენ გიგლას გაჭირვებით და უმოწყალო სარგებელს ღებულობდენ მისგან. სარგებელს ვინღა ჩივოდა, ოღონდაც ფული ეშოვა და მომავალში კი... ყველაფერი მო-

ხერხდება: მაშინ ბაბო ეყოლება მას გვერდში, სათაყვანებელი ბაბო და მასთან ხელი-ხელჩართული ყველაფერს გადალახავს.

გიგლა ჩაფიქრებული იჯდა თვის ოთახში და სხვა და სხვა კომბინაციებს აწყობდა. ხან ნერვებ აშლილივით ადგებოდა კუთხიდან კუთხემდი, ხან კი ფანჯარას მიადგებოდა და ულვაშების გრეხით ცის სივრცეში გაიყურებოდა.

— აა!.. ისიდორე... მართლა... ისიდორე უარს არ მეტყვის. . განა მისი მოყვარე არა ვარ! ნათლია, საყვარული შვილის ნათლიაა! არა, არა... უეჭველათ მასესხებს, უეჭველათ. ოოხ!.. რა კარგათ მომაგონდა...— გიჟივით წაიბუტბუტა გიგლამ, საჩქაროთ პიდჟაკი გადაიცვა და ის იყო ოთახიდან უნდა გასულიყო, რო კარები გაიღო და შიგ ქაიხოსრო შამოვიდა.

— მგონი, წასვლას აპირებდი, შვილო?!

წყნარათ შეეკითხა იგი გიგლას და აუჩქარებლათ სკამზე ჩამოჯდა.

— არაფერია, მერეც მოვესწრები!..— მიუგო გიგლამ.

— ბაბოს შესახებ მინდოდა მოგლაპარაკებოდი, — დაიწყო ისევ, ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, ქაიხოსრომ. ამ კაი დღეებზე ჩამეკიყვანოთ-მეთქი, გავიფიქრე.

— ეს კარგი გიფიქრია, მე და ჩემმა ღმერთმა!

სწორეთ რო ძალიანი იქნება, ძალიანი, —აღტაცებით წარმოთქვა გიგლამ, ქუდი, რომელიც ამდენხანს ხელში ეჭირა, ლოგინზე მიაგდო და მოწყვეტით სავარძელში ჩაჯდა.

— აი ფულიც, შვილო! დღესვე გაუგზავნე. წერილიც მიწერე, რომ, უეჭველათ, ჩამევიდეს, —ამ სიტყვებით ქაიხოსრომ ჯიბიდან მოკრული ცხვირსახოცი ამოიღო, ფრთხილათ გახსნა იგი, ორი ხუთ-ხუთ მანათიანი ქაღალდის ფული ამოაძრო და გიგლას გადასცა.

გიგლა თუმცა ღა ერთხანს უარზე იდგა, მარა შემდეგ ფული ჩამოართვა და გულში-კი მადლობა შესწირა ღმერთს, რო გადაარჩინა სასესხებლათ ხეტიალს.

VI.

დეკემბრის მიწურული იყო. თუმცა შვენიერი ტაროსი იდგა, რაც ასე ახასიათებს თფილისის მიდამოებს, მარა, მიუხედავათ ამისა, ჩრდილოეთის ცივი სიო ფარულათ დაძვრებოდა და ძვალ-რბილში ატანდა ყოველივე სუდგმულს. მუდამ ცხოველი მზე მორცხვათ გადმოყურებდა სამგლოვიაროთ მორთულ დედამიწას და მკრთალი სხივებით ნაზათ ეალერსებოდა მას. ხალხი შეძლებისდაგვარათ თფილ ტანთსაცმელში გახვეულიყო და მზის ყურეს აწყდებოდა, რო ცოტათი მაინც გამთბარიყო. მთელს ქალაქში საერთო უსიცოცხლობა და ერთფეროვნება გამეფებულიყო.

მხოლოთ სებებიო ინსტიტუტში შეამჩნევდით მოწაფეთა არაჩვეულებრივ გამოცოცხლებას. დილის ცხრა საათი იქნებოდა და გაკვეთილი ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო. მთელს სასწავლებელში დიდი მოძრაობა და ფაცა-ფუცი სუფევდა. ახალგაზდა ქალიშვილები: ვინ კარიდორში დასეირნობდა, ვინ იქვე ფანჯრებს მიდგომოდა და გაცხარებით რაღაცაზე ლაპარაკობდა. ეტყობოდა, ახალ სიოს დაებერა იმათ ცხოვრებაში, რაღაც ახალი ამბავი მომხდარიყო, რომ ასე გამოეცოცხლებია მოწაფეთა მთელი პერსონალი. ყველანი დიდ მოუთმენლობას შეეპყრო და დროგამოშვებით ფარულათ სამასწავლებლო ოთახისკენ გაიყურებოდენ.

მათი ასეთი ფუსფუსის და ეცნობის მოყვარეობის აღმძვრელი მიზეზი გახლდათ რუსეთიდან ახლათ ჩამოსული მასწავლებელი, რომელიც დღეიდან უნდა შედგომოდა თვისი მოვალეობის ასრულებას. იგი ადრე დილით მოვიდა სასწავლებელში და სამასწავლებლო ოთახში თვის კოლეგას ესაუბრებოდა.

ახალგაზდა ქალიშვილებმა თუმც კი იცოდენ ახალი მასწავლებლის ჩამოსვლის ამბავი, მარა ჯერ იგი არავის ენახა და ამიტომ მოუთმენლათ მოელოდენ მის ნახვას. იგი სულ სხვა და სხვა სახით ეხატებოდა მათ და სხვა და სხვა გარეგნობას ღებულობდა იმათი წარმოდგენით.

— რა გითხრა, იცით? თურმე, ახალ მა-

სწავლებელს პეტროგრადის უნივერსიტეტში გაუთავებია მედიკური ფაკულტეტი, და იცი, რა კარგათ?. პირველი ხარისხის დიპლომი მიუღია, თურმე!..

— რა ქვია მას, ნეტავი?..

— სახელი არ ვიცი და გვარათ კი კატელნიკოვი ყოფილა.

ივან პეტროვიჩი, ივან პეტროვიჩი!.. —ჩაერია მათ საუბარში ფერ ხორცით სივსე— შაგვრემანი ქეთო, რომელიც მთელს სასწავლებელში ყველაზე უფრო „ეშმაკათ“ იყო ცნობილი.

— ივან პეტროვიჩ! —იფ, იფ!.. რა კარგი სახელია!..

— რის მასწავლებელი იქნება, ნეტავი?!.

— რის და „მუხუდოს!..“ —ზახაროვი რო დაითხოვეს, აღარ გახსოვს?!.

— ხო, მართლა, ფიზიოლოგიაზე იკითხავს. მადლობა ღმერთს, რო გადავრჩით ზახაროვის ბუტბუტს!.

— თურმე, იმისანა ხმა ქონებია ახალ მასწავლებელს, იმისანა... ჩვენმა შეეიცარმა მითხრი გუშინწინ... რო ვერ გაძღები მისი მზერით!..

— შენ, როგორ გაჩუმებულხარ გამწყარალი ანგელოზივით?—შეეკითხა ამ დროს ქეთო ჩვენს ცნობილ გმირს, ბაბოს, რომელიც ჯგუფზე შორიახლო იდგა და კრინტ დაუძვრელათ ყურს უგდებდა იმათ საუბარს.

— მე... ისე...—წყნარათ მიუგო მან და ჯგუფს გაშორდა.

ბაბოს ასეთმა უყურათღებობამ ახალი მასწავლებლისადმი ძლიერ გააკვირვა ყველანი. მთელს სასწავლებელში „უენოთ“ მონათლულ მატრონესაც კი ამოაბა ამ „საყურათღებო“ ახალმა ამბავმა ენა და გასაოცარი იყო, რო მზოლოთ ბაბო, მუდამ ცელქი, მაღალი ტემპერამენტის მქონე ბაბო სდუმდა და არ ამჟღავნებდა თვის გრძნობებს.

ყოველივე შედეგს თვისი წარმომშობი მიზეზიც აქვს. ბაბოს სიჩუმესაც, რასაკვირველია, თვისი მიზეზი ქონდა, რომელსაც პატივცემულო მკითხველო, შემდეგ თავში მოგახსენებ.

VII.

საღამოს ჩაის შეექცეოდა ბაბო საერთო სასადილოში დიასახლისთან ერთათ, რომ დერეფანიდან ზარის ხმა მოისმა. მოსამსახურემ უცნობს კარი გაუღო და, ცოტა ხნის შემდეგ, ოთახში სადარბაზო ბარათი შემოიტანა და დიასახლის გადასცა.

— ივან პეტროვიჩ კატელნიკოვ. მკურნალი—ხმა მაღლა წაიკითხა მან და სიხარულით აღტაცებულმა—შურდულივით დერეფნისკენ გაექანა. „ჩემო ვანო, ჩემო ვანიჩკა“, —მოისმოდა დერეფანიდან დიასახლისის ხმა.

ყველანი აიშალენ სტოლიდან.

ბაბო-კი გაუნძრევლათ იჯდა თვის აღგილზე და მოუთმენლათ მოელოდა უცნობის შამოსვლას.

ცოტა ხანიც და კარები გაიღო. ოთახში შამოვიდა ახოვანი ტანის ყმაწვილი კაცი, რომელსაც ხელში ქუდი ეჭირა და ხუჭუჭა თმაზე ხშირ ხშირათ ხელს ისობდა. პატარა წაბლის ფერი ულვაშები კოხტათ დაეწყო და ღრმათ გამომეტყველ სიცოცხლით სავსე თვალებს ოქროს ბუდეში ჩაჯენილი სათვალები ოდნავ უფარავდა. იგი ფართე, სასიამოვნო ღიმილით ხან ერთ ბავშს ეალერსებოდა, ხან მეორეს.

— ძლივს, ძლივს ვეღირსე შენს ნახვას!.. ბუტბუტებდა დიასახლისი, და ახალმოსულს ხელს არ უშვებდა.

— სხვა, მარუსა. როგორ... ახ, უკაცრავათ, აქ უცხო ადამიანიც ყოფილა,—შესდგა იგი უცებ ბაბოს დანახვაზე. ბაბო კი ამ დროს მაგიდას ყურესთან იყო გაჩერებული და დაწაფებით მიჩერებოდა მას.

— Позвольте познакомиться; Котлеѣниковъ. —

— ჩემი ძმა არის, ბაბოჩკა!—დაუმატა თვის მხრით დიასახლისმა. —რამდენი ხანია არ მინახავს; თუ ვეღირსებოდი, არ მეგონა; თითქმის ჩემს კალთაშია გაზდილი!.. როგორ დავაჟკაცებულა!.

— დიახ, დიახ, ჩემო ძიძავ, ჩემო ძიძავ!.. ხომ კარგათ? მართლა, მე ხელი შეგიშალე

თქვენ. დაბრძანდით, დაბრძანდით. ბოდიშს ვიხდი, რო შეგაწუხეთ!

ყველანი დასხდენ. ივან პეტროვიჩმა პალტო და ქუდი მოსამსახურეს გადაცა, ფრთხილათ სათვალები გაისწორა და იქვე დიასახლისის გვერდით დაჯდა. ბაბო თითქმის პირდაპირ უჯდა მას და ფარულათ მისკენ გაიყურებოდა; და, როდესაც მისი თვალები პირველათ შეხვდენ ივან პეტროვიჩს ეშმაკურათ მოელვარე თვალებს, ბაბოს სხეულში რაღაც გრძნეულმა ჟრუანტელმა დაიარა, გულმა არა ჩვეულებრივი დაგა-დუგი დაუწყო და თვალები უნებლიეთ დაეშვა. იგი მაშინვე წამოდგა, ზდილობიანათ გამოემშვიდობა იქ მყოფთ და ჩქარის ნაბიჯით თვის ოთახში გავიდა.

ერთხანს აღელვებული დადიოდა იგი ოთახში; წიგნის კითხვაც კი ცადა, მარა გონება არ დაემორჩილა და, თუმცალა ჯერ თერთმეტი საათიც არ შესრულებულიყო, დაწოლა ამჯობინა. მან სწრაფათ გაიხადა ტანზე, ლოგინი გაასწორა და მოწყვეტით შეგორდა შიგ. მარა დრო მიდიოდა; მას თვალზე ლულიც კი არ ეკარებოდა. საღამურის მკრთალი სინათლე ოდნავ ცემდა ვარდივით აკოკრებულ პირისახეზე და ნაზათ გაილურსებოდა. ხელები თავქვეშ ჩამოედვა და ბროლივით ნათალი გულ-მკერდი თოვლივით მოკიანთობდა ოდნავ განათებულ სივრცეში.

საღამურის სინათლე ხომლს ხვდებოდა და თავისებურ ჩრდილს ისროდა ჭერზე.

ჩრდილი თანდათან განსაზღვრულ გამოხატულებაში იქმნებოდა. აგერ—მხრებიც დაეტყო... გულ-მკერდი... ტანის მოყვანილობა, თავიც მოება, პაწაწკინტელა ულვაშები... უყურეთ სათვალებიდან, რა რიგ დაჟინებით მიჩერებია ბაბოს, ღიმილი, ეშმაკური ღიმილი, ხელებიც გაიქნია, ბაბოს ეძახის... „ახ! ივან პეტროვიჩ!“ გიჟივით წამოიძახა ბაბომ და მთელი სხეულით აცახცახებული ლოგინზე წამოჯდა.

მოჩვენება წამსვე გაქრა...

თვალწინ ისევ ცალიერი ოთახი, მოლაპლაპე საღამური და ჭერზე ხომლისგან ნასროლი ჩრდილი.

— თფუ, დაწყევლოს ღმერთმა!..—წყნარათ ჩაილაპარაკა ბაბომ, კედლისკენ იბრუნა პირი და საბანში კარგათ გაეხვია, იქნება ადვილათ ჩაძინებოდა...

გ. ებრალიძე.

(შემდეგი იქნება).



რა არის ცოცხალი ორგანიზმი?

(სამეცნიერო წერილი)

დღეს მეცნიერების მიერ უკვე დამტკიცებულია, რო მთელი ქვეყნიერება წარმოდგა ერთი დასაწყისისგან: სულიერი არსებანი, მცენარენი და ლითონები შესდგებიან იმ ნაწილებისგან, რომლებსაც იღებენ მიწისა, ჰაერისა და წყლისგან. ეს ნაწილებია: მჟავ-ბადი, ნახშირ-ბადი, წყალ-ბადი, აზოტი, გოგირდი, ფოსფორი და სხვა.

მთელ ქვეყნიერებას მეცნიერება ყოფს ორ ნაწილათ: ორგანიულ და არა ორგანიულ სამეფოთ. პირველს ეკუთვნიან სულიერი არსებანი და მცენარენი, ხოლო მეორეს-კი ლითონები, მარილები.

ორგანიული—ცოცხალი არსებანი იბადებიან, იზრდებიან, იკვებებიან, ბერდებიან და კვდებიან.

ჩვენ რომ ავიღოთ და გავშინჯოთ მიკროსკოპის საშვალებით ცოცხალი არსების სანაშენო კვერცხი და მცენარის თესლი, დავინახავთ, რო იგი წარმოადგენს ერთ უჯრედოვან მორგვალო სხეულს, რომელსაც აკრავს გარშემო აბკა, შიგ თონთლო მარცვლის მსგავსი ნივთიერებაა და ამას-კი შუაში 2 რგვალი პაწაწკინა გული უზის.

ეი, ეს ერთ უჯრედოვანი სხეული, მამრობითი სანაშენო უჯრედთან შეერთებით განაყოფიერებული, იძენს ახალ ძალას, იწყებს გავითარებას, ზრდას და თანდათან ერთი უჯრედისგან დაყოფითი გამრავლებით ჩდება მრავალ უჯრედები, რომლებიც ბოლოს ერთათ ყველანი შეადგენენ ერთ მჭიდრო რთულ ორგანიზმს—სხეულს.

როგორც ზემოთაც ვთქვით, თავდაპირველათ უჯრედი მორგვალოა, შემდეგ-კი გამრავლებისთანვე ჩდება უჯრედები სხვა და სხვა მოყვანილობისაცა. ამასთანვე ამის უჯრედებიც, რომლებიც მოკლებულნი არიან აბკას და არც გული აქვთ შუაში.

ყოველი უჯრედი,- როგორც უპირველესი და უმარტივესი ცოცხალი ელემენტი, იკვებება, იზდება, მრავლდება, ბერდება და კვდება.

უჯრედები ერთი მეორესგან განსხვავდებიან, როგორც თვისი მოყვანილობით და სიდიდით, ისე განსაკუთრებული თვისი თვისებებითაც. ასე, მაგალითათ, ის უჯრედები, რომლისგან მუსკულებია, მოძრაობის მოკუმშვის და გაშლის თვისება აქვთ, ნერვების უჯრედების თვისებას განსაკუთრებული გრძნობიერება შეადგენს, ღვიძლის უჯრედებს ნაღველი გამოაქვს, სანერწყვე ჯირკვლების უჯრედებს-კი ნერწყვი, კუჭისას კუჭის წვენი და სხვა.

ამგვარათ, უჯრედებისგან შეიძლება სხვა და სხვა ქსოვილი, ქსოვილებისგან სხვა და სხვა ორგანოები, ხოლო ყველა ორგანოები-კი ერთათ წამოადგენენ იმას, რასაც ჩვენ სხეულს — ორგანიზმს ვეძახით.

როდესაც მეცნიერებამ შეისწავლა მცენარეთა აგებულება, აღმოჩდა, რო დიდი მსგავსება ყოფილა სულიერ არსებათა და მცენარეთა აგებულებათა შორის. როგორც სულიერი არსება, მცენარეც უჯრედებისგან შედგება, მცენარეც, როგორც სულიერი არსება, წარმოდგება მამრობითი და დედრობითი სანაშენო უჯრედთა შეერთებით, თანდათან უჯრედების დაყოფით და გამრავლებით წარმოდგება მცენარის ორგანიზმი. მცენარის უჯრედები იკვებებიან, იზდებიან, მრავლდებიან, ბერდებიან და, ბოლოს, კვდებიან. განსხვავება მხოლოთ იმაშია, რო სულიერი არსების ორგანიზმი უფრო მეტათ გავითარებულია.

მეცნიერების აზროვნობა დღეს კიდევ უფრო წინ წავიდა.

დღეს მეცნიერებამ სულიერ არსებათა და მცენარეთა მზგავსი აგებულება ლითონებში და მარილებშიაც პოვა, როგორც სულიერი არსების და მცენარის ორგანიზმი შედგება უჯრედებისგან, ისე ლითონებიც კრისტალებისგან შედგება. ამ კრისტალების თვისებას შეადგენს გამრავლება, ზდა, საზდოობა, რეგენერაცია - აღორძინება, იარების გამთელება და მოძრაობა. თუ ჩვენ უბრალო მომაკვდავნი ამას ვერ ვამჩნევთ და მხოლოთ მეცნირების ჭკუა-გონება გაჭვრეტს, ეს იმიტომ, რო ლითონებში სიცოცხლის ნიშნები იმდენათ სუსტია, შედარებით, სხვა ორგანიზმებთან, რო დიდი დაკვირვებაა საჭირო, რო შეამჩნიოს ეს.

სულიერი არსებანი, მცენარენი და ლითონები ერთი და იგივე ელემენტებისგან შედგებიან, განსხვავება-კი ამ ელემენტების რიცხვშია. მაშინ, როდსაც სულიერი არსე'ის უჯრედები შედგებიან მეტ ნაწილებისგან, რომელიმე ლითონი შესაძლოა შედგებოდეს მხოლოთ ერთ ნაწილისგან.

ამგვარათ, მთელი ქვეყნიერება წარმოადგენს ცოცხალ მატერიას. ორგანიზმებათ უნდა ჩაითვალოს არა მარტო სულიერი არსებანი, არამედ მცენარენი და ლითონებიც-კი. თვით ადამიანი წამოადგენს მხოლოთ მინუშს უმწვერვალეს გავითარებამდი მიღწეულ ორგანიზმს მრავალ უთვალავ ორგმნიზმთა შორის. ყოველ ცოცხალ ორგანიზმში განუწყვეტელი მუშაობაა. მუშაობას მეცნიერებაში ეძახიან არსების ყოველ გვარ მოქმედებას: მუსკულების, საჭმლის მოსანელებელ ორგანოთა მუშაობას, ყოველი მაჯის ცემა, ყოველი ჰაერის ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა ფილტვებიდან, ხუთ გრძნობათა ორგანოების მოქმედება არის შედეგი მუსკულების და ნერვების მუშაობისა. ამგვარ მუშაობას ჩვენ ისე ვართ შეჩვეულნი, რო მას მუშაობათაც არც კი ვთვლით. აბა, თქვენ წარმოიდგინეთ ისეთი შემთხვევა, როდესაც ადამიანი იძულებულია გაატაროს ერთი თვე ბნელ დაკეტილ ოთახში და, შემდეგ-კი გამოუშვით გარე მზეზე და თქვენ მაშინ მიხვდებით, თუ რა მძიმე მუშაობა ყოფილა მზერა.

დიახ, ცოცხალ სხეულში მუშაობა განუწყვეტელია; მხოლოთ შესწყდება რა უკანასკნელი მაჯის ცემა, წყდება რა არსებაში სიცოცხლე, წყდება მუშაობაც. რაც ზედმეტ მოძრაობაშია სხეულის ნაწილები, იმდენათ სხეულიც ზედმეტ მუშაობას განიცდის.

აი, ამ მუშაობის შედეგია ის განუწყვეტელი დაშლა უჯრედებისა, რომელიც ხდება ყოველ ცოცხალ სხეულში და, რამდენიც მუშაობა უფრო ძლიერია, იმდენათ ძლიერია ეს დაშლაც. სხეულის უჯრედების დაშლა მუშაობის დროს იმაში მდგომარეობს, რომ უჯრედები იწვის და, რამდენათ უფრო ძლიერია ეს დაწვა, იმდენათ უფრო მეტი სითბო ჩდება სხეულში, ხოლო სითბო-კი შექნის იმ ძალას—ენერგიას, რომელიც გარდიქმნება მუშაობაში.

მეცნიერთა გამოანგარიშებით ადამიანის სხეულში დღე—და ღამის განმავლობაში შესაძლოა შეიქნეს იმდენი სითბო, რომელიც საკმარისია, რო გაათბოს ოცდაათი (30) ბოთლი წყალი 100/° C—ამდე.

რას უნდება ამდენი სითბო? ნაწილი ამ სითბოსი უნდება ადამიანის სხეულის მუდმივი სითბოს შესანახათ, რომელიც უდრის 37/° C., მეორე ნაწილი სითბოსი გარდიქმნება იმ ძალათ, რომელიც საჭიროა სამუშაოთ, ნაწილიც ხმარდება იმ ჰაერის გასათბობათ, რომელსაც ადამიანი ისუნთქავს; დანარჩენი სითბო, რაც ზედ-მეტს შეადგენს და მოთხოვნილებას აღემატება, სხეულიდან გარეთ გამოდის.

სხეული ზედ მეტი სითბოსგან უსათუოთ უნდა გათავისუფლდეს, თვარა ზიანი მოელის. ამ შემთხვევაში დიდ საშვალებას აძლევს კანი, რომელიც ადამიანის სხეულს აკრავს: კანი არის ის რეგულიატორი, რომელიც გარემოების მიხედვით, ხან მეტს სითბოს უშვებს სხეულიდან, ხან ნაკლებს, ხან-კი სულ—არა.

მეორე საშვალება, რომლის წყალობით სხეულში დაგროვილი ზედ-მეტი სითბოსგან თავისუფლდება სხეული, არის ოფლი. რამდენათ უფრო მეტი სითბოა მოგროვილი სხეულში, ზედ-მეტი, არა—სასურველი მისთვის, იმდენათ უფრო და უფრო მეტს ოფლს ასხამს ადამიანს, იმდენათ უფრო მეტი სითბო გამოდის გარეთ; ოფლი კანზე ორთქლათ იქცევა და აშრება მას, რის დროსაც კანი გრილდება და სხეულს კიდევ უფრო მეტი სითბო აკლდება.

რაც მეტ მოძრაობაშია და მოძრაობაშია სხეული, იმდენათ უფრო მეტი იწვის უჯრედები, იმდენათ უფრო მეტი სითბო ჩდება სხეულში. დღე უფრო მეტი წვაა უჯრედებისა, ვიდრე ღამე, ძილის დროს, როდესაც მუშაობა სხეულისა უფრო შემცირებულია. მზეზე სინათლეში უფრო ცხოველია ეს დაწვის პროცესი, ვიდრე სიბნელეში. ტან-მთელი, ახალგაზდა ორგანიზმი უფრო მეტს სითბოს აჩენს, ვიდრე მოხუცი, დედა-კაცის ორგანიზმი უფრო სუსტია ამ მხრივ, ვიდრე მამაკაცისა.

ის სითბო, რომელიც მუშაობის ძალათ გარდიქმნება მარტო სხეულის უჯრედების დაწვისგან რო ჩდებოდეს, მაშინ ყოველი სულიერი არსება, როგორც სანთელი, რამდენიმე დღე დაიწვოდა.

ის ხარჯი უჯრედებისა, რომელსაც სულიერი არსება ყოველ გვარს მუშაობის დროს განიცდის, საბედისწერო იქნებოდა, მხოლოთ რამდენიმე დღე გაუძლებდა, რო სხეულს საშველი არ ქონდეს. ეს საშვალება არის საზრდო, რომლითაც სულიერი არსება ყოველ დღე იკვებება.

აი, საჭმელი აძლევს იმ მასალას სხეულს, რომლისგან უმთავრესათ ჩდება სხეულში სითბო. ამასთანავე საჭმლის დანიშნულებაც ისაა, რომ იგი აძლევს იმ მასალასაც, რომლითაც ივსება უჯრედების დანაკლისი. აი, ამიტომაა, რომ ადამიანი, როგორც ყოველი სულიერი არსება, ვერ გაძლებს დიდ ხანს უსაზრდოოთ, როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა დიდი-დიდი, რომ ადამიანმა 20—25 დღე გასძლოს, შემდეგ-კი ადამიანი კვდება, უჯრედებს იმდენი ნაწილე-

ბი აკლდება, რომ არსებობის ძალა სრულებით ერთმევა.

აქედან ჩანს, თუ რა დიდი დამოკიდებულება ყოფილა ადამიანის სხეულის და საჭმელის შორის.

ის ჩვეულებრივი საჭმელი, რომლითაც ყოველი არსება იკვებება, შესდგება იმავე ნაწილებისგან, რა ნაწილებისგან შესდგება თვით არსების უჯრედები—სხეული.

სხეული შესდგება ცილის-მაგვარი ნივთიერებისგან, სახამებელი—შაქრისგან, ქონისგან, მარილისგან და წყლისგან, ეს უკანასკნელი შეადგენს სხეულის 70%.

აი, სწორეთ შესაფერი სასარგებლო საჭმელიც ის არის, რომელიც ამ ნაწილებისგან შედგება.

კუჭიდან და ნაწლავებიდან მონელებულ საჭმლის გამონაწური ზემოხსენებული ნაწილები გადადის სისხლში, სისხლს-კი ეს ნაწილები მჟავ-ბადთან ერთად მიაქვს უჯრედებთან და იქ ხდება, როგორც დაწვის, ისე უჯრედებისვე აღორძინება.

ამ გვარად, თუ რომ ადამიანს სული უდგია, თუ რო მას შეუძლია სიცოცხლის მუშაობის გაძღოლა, ეს მხოლოთ საჭმლის საშვალებით, ვინაიდან, როგორც ხედავთ, საჭმელი იძლევა იმ ელემენტებს, რომლისგანაც თვით სხეული შესდგება.

ასე რო, შიმშილი ის გრძნობაა, რომელიც ანიშნებს, რო სხეულში მოხდა ისეთი ხარჯი, დანაკლისი უჯრედებში, რომლის შევსება საჭმლით აუცილებელია. უსაჭმელოთ გაძლებს სხეული მხოლოთ ძლიერ მოკლე ხანს; მაშინ სხეულში ყოველი მუშაობა მხოლოთ უჯრედების დაწვა-დაშლაზეა დამყარებული. რამდენათაც მეტს გასტანს ამ გვარი მდგომარეობა სხეულისა, იმდენი უფრო მეტი ძალ ღონე ერთმევა და ემატება სისუსტე სხეულს; ბოლოს-კი, როდესაც სხეულს ნახევარი თვისი წონა მოაკლდება, სულიერი არსებაც კვდება, უწყლოთ სხეული კიდევ უფრო ნაკლებ ხანს გასძლებს. ჯერ ეს ერთი, რო, როგორც ზემოდაც აღვნიშნეთ, 70%ი სხეულისა წყალს შეადგენს, მაშასადამე, მოთხოვნილობაც წყლისა სხეულში გაცილებით უფრო მეტიცაა; მეორეც ისა, რო სხეული დიდ-ძალ წყალს კარგავს ყოველ დღე-ღამე, რომლის რაოდენობა უდრის 8—10 გირვანქას. ამიტომაცაა, რო წყლის-წყურვილი ასეთი მწვავე გრძნობაა, რომლის დაუკმაყოფილება ადამიანს საშინელ ტანჯვას აყენებს.

ექიმი ბადრიძე.

(დასასრული იქნება).

კრიტიკა.

აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე*). დღესასწაულებზე 2 მაისს 1889 წელს.

ამ კვირის გმირათ შეიქნა ქართველთა მგოსანი აკაკი რ. წერეთელი.

ამ მწერლის სალიტერატურო ღვაწლის მადლიერმა დაფასებამ მიხეილის საადგილმამულო ბანკის (ქუთაისშია) საერთო კრების მიერ ძლიერი და სასიამოვნო ჩაბეჭდილება მოახდინა ჩვენი საზოგადოების ყოველ წრეზე - და არა მარტო ქართველი საზოგადოების. განსაკუთრებით ნიშანდობილივია ის გარემოება, რო გაცხარებრლი საერთო ლაპარაკის დროს ამ ფაკტის შესახებ სრულიათ არ მოისმის რაიმე უთანხმოების, ან წინააღმდეგობის ხმები. ყველა, დიდიდან დაწყებული პატარამდი, კმა-

*) ქართველი დიდი კრიტიკოს-პუბლიცისტის ეს წერილები დღეს პირველათ ჩვენს ჟურნალში ისტამბება ქართულათ. სულ წინაპირველათ-კი დაისტამბა „Новое Обозрѣніе"-ში ამ სათაურით: დღესასწაულებზე (На праздники). ეს თარგმანი ისტამბება დედანის თანახმათ, რომელიც დაიბეჭდა 1889 წ. სრულიათ უცვლელათ, ისე, რომ არცერთი ფრაზა, ან სიტყვა არც ჩამატებულია ახლათ, არც გამოკლებულია.

რედაქცია.

ყოფილია იმისი, რო მგოსანს დაუნიშნეს ეს, არსებითად რო ვთქვათ, მეტისმეტათ მცირე — 1500 მანათის პენსია. „ნოვოე ობოზრენიე“-მ აღნიშნა ეს ფაკტი და სრული თანაგრძნობა გამოუცხადა მას. ამიტომ მე მეტათ მიმაჩნია ამავე საგანზე ლაპარაკი. ეს თავისთავათ იგულისხმება. მარა, რადგან ამ სასიამოვნო ფაკტმა გამოიწვია, თუ გააძლიერა ინტერესი მგოსნის მოღვაწეობისადმი იმ მკითხველებშიაც-კი, რომელნიც ქართულ ლიტერატურასა და მის მწერლებს გაგონებით თუ იცნობენ, — ამიტომ მე აუცილებელ საქმეთ მიმაჩნია სრულიათ სხვა მხარეს შევეხო: მე მინდა თ. აკაკი წერეთლის სალიტერატურო მოღვაწეობის შესახებ ჩემი თუნდაც გაკვრითი შეხედულობა გამოვთქვა. დავიწყოთ იქიდან, რო თ. აკაკი წერეთელი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით ნამდვილი და ჭეშმარიტი პოეტია. ეს ცოტაა: ის ერთათ ერთი მგოსანია უკანასკნელი საუკუნის ნახევრის ქართველ მოლექსეთა შორის. ამას იმ მნიშვნელობით ვამბობ, რო მათ შორის მხოლოთ აკაკი წერეთელს აქვს ბუნებიდან მიმადლებული ის სპეციალური ნიჭი, რომელიც პოეტებს ქმნის. იმას გარდა, ეს იშვიათი სიკეთე უკანასკნელ დროის დანარჩენ ქართველ მოლექსეთა შორის (მათი სახელი-კი ლეგიონია) მინიჭებული ქონდა, და ისიც ხელმოჭერილათ, მხოლოთ გ. მ. ქოჩაქიძეს (ჭალადიდელი), რომელმაც სამოცდამეათე წლების მიწურულში ის იყო გამოანათა ქართულ ლიტერატურაში, მარა მალე ჩაჭკნა, გაცილებით ადრე აყვავებამდი. მხოლოთ თ. წერეთელს შეუძლია ამოუდგეს გვერდში მეორმოცე წლების მეორე შესანიშნავს ქართველ პოეტს თავ. ნიკ. ბარათაშვილს, — და ამ ორმა მგოსანმა სავსებით ამოწურა მიმდინარე საუკუნის საქართველოს ნამდვილი პოეზია, მხოლოთ მათ შეიტანეს ამ პოეზიაში სუბუქსა და სადა ფორმასთან ერთათ ცოცხალი, უკვდავი სახეები, და მხოლოთ მათი ქმნილებანი, უკვე ღრმათ ჩაბეჭდილნი ხალხის ხსოვნასა და შეგნებაში, დატოვებენ წაუშლელ კვალს, რომელიც მარტო ბუნებრივი პოეტური ნიჭით დაჯილდოვებულ პირთა კუთნილებას შეადგენს. თავ. აკაკი წერეთლის სალიტერატურო ნიჭის ძალა პირდაპირ საოცარია. შეიძლება სრულიათ გადაუჭარბებლათ ვთქვათ, რომ ის თვისი ბუნებრივი ნიჭით ყველა კავკასიის თანამედროვე მწერალზე, პოეტსა და პროზაიკოსზე მაღლა დგას, სრულიათ გამოუკლებლათ. ყველა ჩვენგანზე გაცილებით მეტია მასში დაუფასებელი ნიჭი, მწერლის უზენაესი ძალა, ელეკტრონის ნაკადის მსგავსათ მკითხველების გულის გამსჭვალველი ყოველთვის, რაზედაც არ უნდა დაიწყოს მან ლაპარაკი. ის აფხიზლებს, აღვიძებს, ფეხზე აყენებს დამბლადაცემულებსაც-კი და ტოვებს საუკუნო წაუშლელ კვალს არა მარტო თვისი აზრით, არამედ მისი გამომხატველი ფორმითაც, — და თითქმის ფორმით უფრო, ვიდრე აზრით. ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რითაც მარტო ქართველურათ გულუხვ ბუნებას შეეძლო დაეჯილდოვებია მწერალი, უზომოთ და თავდაუჭერელათ მიცა მან თავ. აკაკი წერეთელს და იმგვარ ფარგლებში, რომელზედაც ოცნების უფლებაც-კი არ აქვს არც ერთს თანამედროვე კავკასიელ მწერალს.

გულუხვათ დაჯილდოვებული ასეთი იშვიათ ნიჭით, თავ. აკაკი წერეთელი ყრმობის წლობიდან გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე, 1857 წელს, ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნის დროს. ქართულ ლიტერატურაში შეუძლებელია რასმე შეედაროს ის ჩაბეჭდილება, რომელიც მისმა პირველმავე ლექსმა მოახდინა. მხოლოთ რუსულ ლიტერატურაში შეიძლება შეგხვდეს ამის მსგავსი რამ, სახელდობ, პუშკინის ახალგაზდა მუზის პირველი ნაბიჯებით გამოწვეული ჩაბეჭდილება. ყველა ერთობით, ნასწავლებიც და უვიცებიც, მიხვდენ, რომ ასო წ-ით მორცხვათ ხელმოწერილ ლექსებში ჟღერს „ლექსის არმონია“, რომლის, ა. ნ. მარკოვის გამოთქმით, ღვთიური საიდუმლოების ძებნა ბრძენთა წიგნებში ამაო შრომა იქნებოდა. ამ ლექსების ენა გაირჩეო-

და წმინდა ხალხური კილოს მანამდი გამოუცთელი სიშვენიერითა და სისუბუქით, იმ კილოსი, რომელიც სრულიათ თავისუფალი იყო მწიგნობრული ხელოვნობისა და განსაზღვრულობისგან. საზოგადოთ, თავ. აკაკი წერეთლის სალიტერატურო მოღვაწეობის პირველი დღიდან უკანასკნელამდი, მან ქართველ სიტყვიერებაში მოიპოვა და სავსებით შეინარჩუნა ისეთივე მნიშვნელობა, როგორიც პუშკინს აქვს რუსული ლიტერატურის ისტორიაში, თვისი თხზულებების ენისა ⁄ ფორმის მხრით.

მან პირველმა, და მერე ყველაზე უფრო მეტათ თვის თანამოძმეთა შორის, მძლეთ დაუახლოვა ლიტერატურის ენა ხალხურს იმით, რო მიანიჭა მას საოცარი მოქნილობა და გრაცია, გამომეტყველება და მდიდარი გამოთქმა. და, რადგან ახლა მე ვწერ არა დიფირამბს, არამედ კეთილსინდისიერ შეხედულობას პოეტის მოღვაწეობაზე, ამისთვის, ყოველგვარი გაუგებრობისა და ცალმხრივობის ასაცთენათ, უნდა დავუმატო ჩემს მსჯელობას, რომ ეს მსგავსება თავ. აკაკი წერეთლის როლისა ქართულ ლიტერატურაში და პუშკინის მნიშვნელობისა რუსულში, საუბედუროთ, მხოლოთ ენითა და ფორმით განისაზღვრება.

ვაგლახ, რო ქართველმა მგოსანმა ვერ შეძლო რუსის მსგავსი გამხდარიყო და ძირიანათ შეეცვალა თვისი სამშობლოს სალიტერატურო ნაწარმოებთა არა მარტო ფორმა, არამედ შინაარსიც. ეს დიადი პატივი—მშობელი ხალხის სალიტერატურო ძალთათვის ახალი და ღირსეული მიზნების მინიჭებისა—ქართულ ლიტერატურაში წილათ ხვდა არა თავ. აკაკი წერეთელს, არამედ მეორე მწერალს, თავ. ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც, ამის გამო, სრული უფლებით პირველი ადგილი დაიჭირა თანამედროვე ქართული ლიტერატურის სათავეში. ამ ორი მწერლის ნიჭისა და როლების შედარება ერთმანეთთან ყველაზე უფრო გარკვევით დაგვანახებს თვით თავ. აკაკი წერეთლის მნიშვნელობას, ამიტომ მე ნებას მივცემ ჩემს თავს ცოტათი ავცდე საგანს. როგორც პოეტს, თავ. ილია ჭავჭავაძეს თავ. აკაკი წერეთლის ნიჭის ნამცეცი-კი არ მოეპოება. მისი ლექსები ნახელოვნებია, მძიმე, არა მხატვრული და ბევრი ოფლითა და რიტორიკით გაჟღენთილი. ისინი არა თუ თავისით, ბუნებრივათ არ ებეჭდებიან მკითხველის ხსოვნას და შეუწყვეტლათ არ გაისმიან ყურებში, გინდა, თუ არ გინდა მათი დამახსოვრება მაინც, არამედ მაშინც-კი არა რჩებიან ხსოვნაში, როცა მოწაფესავით საგანგებოთ იზეპირებ მათ. საქმის კარგათ მცოდნესთვის ეს ჩემი ნათქვამიც საკმარისია. და, მიუხედავათ ამ უსაზღვრო განსხვავებისა, თანამედროვე ქართული ლიტერატურის ამ ორი კორიფეის ბუნებრივ ნიჭთა შორის, მაინც თ. ილია ჭავჭავაძემ, და არა თავ. აკაკი წერეთელმა, დაიჭირა ქართულ ლიტერატურაში პირველი ადგილი და მიცა მას მიმართულება სავსებით სწორი და შეურყეველი. აზრის ნათელსაყოფათ ისევ შედარებათა ენას მივმართავ—და, მაგალითად, მოვიყვან რუსების მეორე სახელგათქმულ მგოსანს, ნეკრასოვს. ვინ არ იცის, რო თუ მხედველობაში მივიღებთ ნიჭის მხოლოთ სპეციალურ პოეტურ მხარეს, გრაციის, მხატვრულ სახიანობისა და უბრალოების მხრით ნეკრასოვი ვერ შეედრება ისეთს მეორეხარისხოვან მწერალსაც-კი, როგორიც არიან ა. ნ. მარკოვი და გრ. ა. კ. ტოლსტოი. მარა ნეკრასოვის პოეტური ნიჭის ამ თანდაყოლილი სისუსტის მიუხედავათ, ისიც ხომ უეჭველია, რო მან რუსული ლიტერატურის ისტორიაში, როგორც პოეტმაც-კი, მოიპოვა სრულებით არა მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა, რასაკვირველია, არა თვისი ნახელოვნები, უშნოთ მოჭრილი, უხეში, ტლანქი და რიტორული ლექსის ფორმით, არამედ მისი შინაარსით, იმით, რო მან პირველათ შეიტანა რუსულ ლიტერატურაში ის ელემენტები, რომელიც მანამდი ხანდახან და შეუმჩნეველათ, თუ ამოყოფდენ თავს პუშკინისა და ლერმონტოვის ზოგიერთ ქმნილებაში. რადგანაც ეს ელემენ-

ტები რეალურ ცხოვრებიდან არის ამოღებული და სავსებით ეთანხმება მისი სწორი გავითარების საჭიროებას, განა უბედურობა იქნება, რომ ისინი უხეში საშვალებითა და ხელოვნური ფორმით იყვენ შეჩხირებული პოეზიაში? ისიც საკმარისია, თუ ჩაბეჭდილება იქნება გამოწვეული, თუ იქნება ჩაგონების ძალა. მაშინ შინაარსის დიადი ძალა და მათი სიცოცხლის უნარი თვით უსულო ფორმითაც-კი თავისას გაიტანს.

მოგვეგლინებიან ახალი მგოსანნი, მხატვრული ალღოთი, „ლექსის არმონიით“ დაჯილდოვებულნი,—აი, ისინი განაგრძობენ დაწყებულ საქმეს და თავიდან აიცთენენ მიმართულების მამამთავრის ნაკლულევანებებს. რასაკვირველია, პოეტური შემოქმედების ბუნებრივი კანონები შეუბრალებელი და დაურღვეველია. ნეკრასოვს ეს შვენიერათ ესმოდა, როცა მწუხარებით ამბობდა: Пѣснь моя безслѣдно прозвучала, и до народа не дошла она“-ო. (ჩემმა სიმღერამ უკვალოთ გაიხმაურა და ხალხამდი მას არ მიუხწევიაო). მარა-რც ეს არის უბედურობა. ადრე, თუ გვიან ის ხალხს მიწვდება, თუგინდ შემდგომი დროის მგოსანთა მიერ—„გარდაქმნილი სიმღერების“ მეოხებით, რომელნიც პოეტური აღმაფრენითა და სიტყვის უნაკლულო მუსიკის ძალით იქნებიან დაჯილდოვებული. ამგვარათვე, თუ თავ. ილია ჭავჭავაძის ლექსებმა ვერ მიახწია ხალხს, რომელმაც, საბედნიეროთ, პირდაპირის გზით და ერთბაშათ შეითვისა აკაკი წერეთლის ლექსების უმრავლესობა,—მიუხედავათ ამისა, ქართველი საზოგადოების გონებრივ ცხოვრებაზე და მის მომავალ გავითარებაზე თავ. ილია ჭავჭავაძის ლექსებმა თითქმის უფრო დიდი გავლენა იქონიეს. მერე, რატომ? საიდან ჩდება ბუნების კანონების ეს ვითომდა დარღვევა? ეს საკითხი არა თუ საყურათღებოა, არამედ დიდათ გამწვრთნელიც, როგორც ახლავე დავინახავთ. შეადარეთ ერთმანეთს ორივე ქართველი მწერლის არა მარტო ნიჭი, არამედ მათი მოღვაწეობაც. ერთი,—შედარებით ნაკლებათ დაჯილდოვებული ბუნებისგან, ყოველთვის შეუსვენებლათ ავარჯიშებდა მთელ თვის ძალ-ღონეს, რო თვისი ნიჭისთვის მიეცა მთელი ის გავითარება და ძლიერება, რომელიც მისაწდომი იქნებოდა მისთვის. ნების, შეურყეველი ხასიათისა და ცხოვრების მიზნების მპყრობელი,—ის არ შეუშინდა შრომას, ამ უკანასკნელის მთელ სიმძიმესა და უფერულობას. ის სწავლობდა, კითხულობდა სხვა მწერლებს, იკვლევდა ცხოვრების საკითხებს—და თვისი გონებრივი გავითარებით მის თანამედროვე განათლებულ პირებს გაუთანასწორდა. შეიძლება აქ ის საზღვარსაც გადაცთა, როდესაც ისეთ რასმე მოკიდა ხელი, რასაც ამ გონებრივი მუშაობის დროს ყველაზე ძნელათ ერეოდა, რადგან ეს ყველაზე ნაკლებათ შეეფერებოდა მისი გონების თანდაყოლილ თვისებებს,—სახელდობ, გადამეტებულ მსჯელობასა და ფილოსოფიას. მარა ეს არ არის საყურათღებო. უმთავრესი ის არის, რო მწერალი სწავლობდა, ცოდნით იჭურვებოდა—და მუდამ გარკვევით ახსოვდა მას, რო თანდაყოლილი ჭკუა მხოლოთ ამ გზით მოიპოვებს ბელადობას თანამედროვეებზე, განმავლობას ჩამომავლობაზე.

და მან ყველა ამას ზედმიწევნით მიაღწია,—მიაღწია იმიტომ, რო თვის თანამემამულეთა შორის ის იყო თითქმის ერთათ ერთი მოღვაწე ნებით, შეურყეველი ხასიათითა ⁄ შრომის მოყვარეობით დაჯილდოებული. შესაძლებელია, ნაკლულევანებაც ქონდეს,—ბევრ რამეში მე არ ვიზიარებ მის შეხედულებებს, კვერს არ ვუკრავ მის მოქმედებას,—მარა, მიუხედავათ ამისა, ის, უეჭველია, ადამიანია, ის—ძალა. მისი მაგალითი გვიმტკიცებს, რომ ისეთ სპეციალურ დარგშიაც-კი, როგორიც არის პოეზია, რომელიც თავის მსახურთაგან, განსაკუთრებულ გრძნობიერობას, განსაკუთრებულ ალღოიანობას, განსაკუთრებულ ნერვებსა და ტვინს ითხოვს,—ადამიანს, სრულიათ მოკლე-

ბულს ასეთ მადლს, შეძლებია წარმატებით ᲮᲕᲚᲐ ᲓᲐ თვისი კვალის აღბეჭდა უდიდესი სარგებლობით თანამედროვეთა და ჩამომავლობისთვის. მეორემ-კი, ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ ᲓᲐ გამოჩენილ პოეტათ დაბადებულმა, სრულიათ არ დაატანა თავს ძალა, თვისი შეუდარებელი პოეტური ნიჭი არ აღჭურვა მისი განმავლობის ყველა აუცილებელი ელემენტით ᲓᲐ, ამატომაც, იგი ველარ გაცილდა თვისი შიშველი ბუნების პირველ ყოფილ სიწმინდესა ᲓᲐ უბრალოებას. ის გვხიბლავს, როცა მისი სიმღერა მოგვესმის, გვხიბლავს, ვით შეუდარებელი ბულბული, მარა ამით თავდება ყველაფერი. მისი სიმღერა არც მოკვდება, არც დავიწყებას მიეცემა; ოჰ, ეს უტყუარი ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲐ! მარა მან ქართულ ლიტერატურაში ვერ დაიჭირა ის მთავარი ადგილი, რომელიც მას დაბადებით ეკუთვნოდა. ზარმაცმა მონამ, მან მიწაში დაფლა ღვთის მიერ ბოძებული მძლე იარაღი—და მისი ხალხის ლიტერატურამ ვერ ისარგებლა მისი მოღვაწეობიდან ყველაფერი იმით, რის მოცემაც შეეძლო ამ ბუმბერაზ ტალანტს, „თვისი თავის თვითონვე შემმუსვრელსა და მტერს“, ტალანტს, რომელსაც საკმარისი იყო მხოლოთ ხელი გაეძრია, ეშრომა, რო გენიოსობამდი გაზდილიყო. განა უღრმესათ საწყენი არ არის ეს?

მე უკვე ვწერდი ამას წინათ, მ. ვ. სალტიკოვის ნეკროლოგში, თუ როგორი ᲒᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ მიანიჭა მან თვის ტალანტს მძიმე დაშეუწყვეტელი მუშაობით მის სრულსაყოფელათ. განსვენებული სატირიკოსის უახლოესი თანამშრომელი, ნ. კ. მიხაილოვსკიც, საგნის ამავე მხარეს შეეხო თვის წერილში შჩედრინის შესახებ. ჩვენი პუბლიცისტის ამ წერილიდან ვსარგებლობ შემდეგი სტრიქონებით („Рускія Вѣдомости“ 1889 года № 119): „მე ყოველთვის მაოცებდა შჩედრინის შრომის მოყვარეობა. თვითონ ისიც ამაყობდა ამით. ის ამტკიცებდა კიდეც, რო მან ლიტერატურაში სახელი მოიხვეჭა არა ტალანტის საშვალებით, რომელიც, მისი აზრით, სრულებით არ იყო თვალსაჩინო, არამედ განუწყვეტელი შრომით. ერთხელ, ბავშების აღზდის შესახებ ლაპარაკის დროს ის მარწმუნებდა, რო მეტათ, თუ ნაკლებ ნიჭიერ მწერლათ ყველას შეუძლია გახდეს,—სჭიროა მხოლოთ ყმაწვილი სიყრმიდანვე შეეჩვიოს წესიერათ და განუწყვეტლათ შრომისო; „რასაკვირველია, თუ ის, ან იდიოტი არ არის, ან მათემატიკოსიო“, დაუმატა მან და, მგონია, აქ გულისხმობდა იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს განსაზღვრულ სპეციალურ ნიჭსა და სრულ უნიჭობის შორის. ვერც ერთსა და ვერც მეორე შემთხვევაში, გავს, ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲡ გახდები და მის ფარგლებში კი ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ მისწვდები შრომით“. დეე, ამ სიტყვებს ჩაუფიქრდეს ყველა ჩვენი ნიჭიერი მწერალი. დეე, მათ ჩაიბეჭდონ გონებაში დიდებული მწერლის ეს ანდერძი. მხოლოთ ნიჭით. მხოლოთ ტალანტით შორს ვერ წახვალ. როგორც ცეცხლის, ისე უნდა ეშინოდესთ მათ ტაშის ცემის, დიდების და ფიმიამების, რადგან ყველაფერი ეს დამღუპველათ მოქმედობს მწერლის გავითარებაზე. ვით უდიდესი სიკეთე ქვეყნიერებაზე, ასე უნდა შეინახოს მან გულის სიღრმეში საბარადისო უკმაყოფილება თვისი თავით და თვისი ნაწერებით, შეუსვენებლათ უნდა ილტვოდეს ის უფრო მეტისა და მეტი განმავლობის მოპოებისკენ თვის თანამოქალაქეთა უმრავლესობის გონებაზე. ასეთი უკმაყოფილების უქონლობა, შეერთებული თვისი საქმის ზერელეთ შესრულებასთან და თვისი გავითარებისთვის საჭირო სურვილის უქონლობასთან, თხრის საფლავს, რომელშიც უდროოთ დაიმარხა თავი თითქმის ყველა ჩვენმა სამწერლო ნიჭით დაჯილდოებულმა პირმა. პირველი გამარჯვებით დამთვრალნი, ისინი უფრო ხშირათ, ეჩვევიან ბრბოს იაფი ტაშისცემით თვისი სმენის დატკბობას და,

როცა ვერ ამჩნევენ მის გაძლიერებულ გრადაციას, ავათმყოფურ გულღვარძლიანობას ეძლევიან. ისინი ვერ იტანენ კრიტიკას, რომელშიც ხედვენ არა გულწრფელ მისწრაფებას მომავალი წარმატებისა და გაუმჯობესებისკენ, არამედ დაფნისა და გვირგვინების მითვისების დაბალ სურვილს. არ ესმით მათ, საბრალოებს, რომ ამ დაფნას და ამ გვირგვინებს, ეკლიანების გამოუკლებლათ, ანიჭებს და ართმევს მათ არა კრიტიკა... ვხედავ, რო ძალიან ავცთი ჩემს მთავარ საგანს, თავ. აკაკი წერეთელს. ისევ მას დავუბრუნდები: მარა, რადგან მის დასახისიათებლათ ადგილი აღარ მყოფნის, ამიტომ, სიტყვის შესამოკლებლათ, დავკმაყოფილდები ერთი შესანიშნავი ლექსის მოტანით, რომელიც ეკუთნის გრ. ა. კ. ტოლსტოის, ყოველი მხრით ნამდვილ მგოსანს, რომელსაც ისეთივე მრავალი ღირსება აქვს, როგორც თავ. აკაკი წერეთელს. რასაც რუსის პოეტი თვის თავზე წერდა, ჩემის რწმენით, სავსებით შეეფერება ქართველ პოეტსაც.

აი ეს ლექსი:

„Господь меня готовя къ бою,
Любовь и гнѣвъ вложилъ мнѣ въ грудь,
И мнѣ десницею святою
Онъ указалъ правдивый путь,
Одушевилъ могучимъ словомъ,
Вдохнулъ мнѣ въ сердцѣ много силъ.
Но непреклоннымъ и суровымъ
Меня Господь не сотворилъ
И гнѣвъ я свой истратилъ даромъ,
Любовь не выдержалъ свою,
Ударъ напрасно за ударомъ
Я, отбивая, устаю,
На встрѣчу ихъ враждебной вьюгѣ
Я вышелъ въ поле безъ кольчуги,
И гибну, раненый въ бою!*“).

*) როცა უფალმა ბრძოლისთვის მომიწოდა, მრისხანება და სიყვარული ჩამბერა გულში ტ თვისი წმიდა მარჯვენით ეშმარიტი გზისკენ მიმითითა. ძლიერი სიტყვით აღფრთოვანება მომმადლა მან და უსაზღვრო ძლიერება მომანიჭა, მარა შეუპოვარი და მკაცრი არ შეუქმნივარ მე უფალს. და ჩემი რისხ-

ოხ, თავ. აკაკი წერეთელში რომ იყოს ნების იმდენივე ძალა, რამდენიც მასში ტალანტის ძალა არის, მას რო ქონდეს თვისი ვალდებულობის სიმძიმისა და დიდებულობის შეგნება, ვალდებულობისა, რომელიც მას ეკისრება თვით ფაკტით ბუნების მიერ მისთვის ტალანტის მინიჭებისა, ჯერ კიდევ არ იქნებოდა მისთვის დაგვიანებული, რო თვლემისგან გათავისუფლებულიყო და მთელი თვისი თვალწარმტაცი ახოვანებით ამართულიყო. ის ჯერ კიდევ არ არის მოხუცებული, და შრომა თვის გასავითარებლათ არაოდეს არ არის დაგვიანებული... მარა მე იმდენათ გულუბრყვილო არ ვარ, რომ ასეთი მოჩვენების მსგავსი იმედებით გავირთო თავი. რაც უნდა იყოს, მე დარწმუნებული ვარ, რო მისი როლი, მისი ტალანტი, მისი მნიშვნელობა ქართულ ლიტერატურაში საუკუნო გამწრთვნელ მაგალითათ გამოადგება ყველა ჩვენს მომავალ სალიტერატურო სარბიელზე მოღვაწე პირს, რომელნიც ისწავლიან — ჩვენი თაობის ადამიანებზე უკეთ — ხალხისთვის თავდავიწყებულ სამსახურს, ღვთისგან ბოძებულისა და მათ შიერ მონდომებით გავითარებულ ნიჭთა მთელი ძალღონით.

ნ. ნიკოლაძე.

(დასასრული შემდეგ ნუმერში).

ბიბლიოგრაფია.

დ. ახვლედიანი.

ჩარლზ დარვინი. მისი ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა.

თფილისის წ. კ. გამავრც. საზ. გამგეობა კარგ გზას დადგომია. მას თვისი ხარჯით გა-

ვა უნაყოფოთ ამოვაშრე, სიყვარული ბოლომდი არ შემრჩა; ერთი მეორეზე ამაოთ ვიგერიებ მტრების იერიშებს — და ვიღალები. მათი მტრული ძალების წინააღმდეგ მე უჯავშნოთ გამოვედი ბრძოლის ველზე და, სასიკვდილოთ დაკოდილი, ვიღუპები.

მოუცია კაცობრიობის სათაყვანებელი შვილის და მეცნიერთა მეფის ჩარლზ დარვინის ცხოვრების აღწერა. წ. კ. საზ. გამგეობა ამ გზას რო განაგრძობდეს, იგი, უეჭველია, დიდ ღვაწლს დადებს ჩვენი ხალხის შეგნებასა და გაკითარებას. დარვინის ცხოვრების მოთხრობა-კი შეუდგენია ბ-ნს დ. ახვლედიანს. უნდა სიამოვნებით აღვნიშნო, რო პატივცემულ ავტორს ზედ-მიწევნით შეუსრულებია თვის თავზე ნაკისრი შრომა: დარვინის პირადობა მკაფიოთ დახასიათებულია, ყოველი კერძო და საზოგადობრივი მოვლენა ამ დიადი ადამიანის ცხოვრებისა აღნიშნულია. აქ სრული და უნაკლულო სახეა კაცობრიობის საუკეთესო პირადობისა. თვით აღწერა და მოთხრობა სულ უბრალო და მარტივი ენით აქვს შესრულებული. ბ-ნს დ. ახვლედიანს.

არა მგონია, ვინმე ისეთი ქართველი მოიპოვებოდეს, ეს წიგნაკი წაიკითხოს და დიდი სიამოვნება არ მიიღოს. ამიტომ, ჩემი მხრით, დიდ მადლობას ვუძღვნი ბ-ნს დ. ახვლედიანს, რო შრომა არ დაიზარა და ეს ძვირფასი ძღვენი მისთავაზა ქართველ საზოგადოებას. ამასთანავე ვისურვებ, რომ ამ წიგნაკს ქართველი საზოგადოება ხარბათ დაწაფებოდეს. გარწმუნებთ, რომ ეს დიდათ სასარგებლო იქნება ყველასთვის, რადგან ამ წიგნაკში მკითხველი გაეცნობა კაცობრიობის საუკეთესო შვილის ცხოვრებას. ეს ცხოვრება-კი საუკეთესო გაკვეთილი იქნება იმისთვის, ვისაც კაცთა სიკეთისა და საათნოებისთვის უძგერს გული, ხოლო სული-კი შიისწრაფის...

ახლა-კი, ნება მიბოძეთ, მცირე შენიშვნა ვუძღვნა ამ წიგნაკს ტერმინების შესახებ. ბ-ნი დ. ახვლედიანი ტერმინების შესახებ ძალიან რაყვეას განიცთის. ერთი და იმავე ცნობის გამოსათქმელათ იგი სხვა და სხვა სიტყვებს ხმარობს. ეს მრავალ სიტყვაობას ბადებს, ტერმინის სიმტკიცეს-კი ძალზე ხელს უშლის. ხანდახან-კი ორი სხვა და სხვა ცნების გამოსათქმელათ ერთი და იგივე ტერმინია ნახმარი. ეს-კი წაკითხულის გაგებას აძნელებს. ეს ორი გარემოება-კი დიდი მნიშვნელობის ნაკლია ასეთი სახალხო წიგნაკითსვის. ამიტომაც, ჩემ თავს ნებას ვაძლევ, აქ აღვნიშნო ტერმინოლოგიის ყოველი ასეთი უხერხულობა.

1. ძუძუთ-ზრდილი (გვ. 20) და ძუძუანი (გვ. 72). ეს ორივე ტერმინი უდრის რუსულს ერთ ტერმინს млекопитающія. პირველი ტერმინი პირდაპირი თარგმანია რუსული ტერმინისა, სულმეორე-კი ლათინურისა — mamalia. ამიტომ საჭირო იყო, ავტორს, ან ერთს, ან მეორე ტერმინისთვის მიეცა უპირატესობა და ერთ-ერთიც ეხმარა მთელ წიგნაკში. გარდა ამისა, ტერმინს ძუძუიანს სჯობია ტერმინი ძუძუებიანი, რადგან ეს სრულებით შეეფერება ლათინურ ტერმინს, საერთაშორისო მიღებულ ტერმინს, და გარდა ამისა, არც ერთი ცხოველი მოიპოვება, რომელსაც ორი ძუძუ, ან ძუძუს ორი ჯირკვალი არ ქონდეს, თუ კი იგი ცხოველი ნორმალურია და სიმახინჯით დასახიჩრებული არ არის. ამიტომ უნდა მიღებულ იქნეს ტერმინი — ძუძუებიანი.

2. დასამარებული (გვ. 21), დასამარებულ-დამიწებული (გვ. 25), დამიწებულ-დასამარებული (გვ. 26), დამიწებული (გვ. 26), ცხოველთა გაქვავებული ნაშთი (გვ. 52), გაქვავებული ძვლები (გვ 56), დამიწებულ-გაქვავებული (გვ. 56), და დამიწებულ-გაქვავებული სამთხრებლო (გვ. 60).

როგორც ხედავთ, აქ რუსული ტერმინის ископаемое-ს გამოსათქმელათ მთელი ლექსიკონია ნახმარი. აღარ იცი, რომელი ამ ტერმინთაგანი არის საუკეთესო და, ამიტომ, სამუდამოთ სახმარიც. ეს-კი ტერმინოლოგიის დიდი ნაკლია. მგონია, და ეს კიდეც ვრცლათ

განვმარტე ჟურნალ „განათლებაში“ (იხ. 1908 წ. № 7—8), რომ ეს მრავალ-სიტყვაობა უნდა უკუვაგდოთ და საბოლოოთ მივიღოთ ტერმინი— სამთხრებლო.

3. გვართა წარმოშობა, მოდგმათა წარმოშობა (გვ. 28). ან ერთი, ან მეორე. უმჯობესია, ვიხმაროთ გვართა წარმოშობა.

4. მოშინაურებული ცხოველები და შეკეთებული მცენარეები (გვ. 32). დამეთანხმებით, რო ყოვლათ უვარგისია შეკეთებული მცენარეების ხმარება. ამ სიტვებით აღნიშვნება აქ რუსული გამოთქმა: воздѣланныя растенія. ამ სიტყვით ავტორს უნდა აღნიშნოს ის მცენარეები, რომელნიც ადამიანს მოშენებული, ან გაშენებული აქვს და რომელთაც იგი თვის ბაღში, ეზოში, თუ ყანაში რგავს, სთესს და მოყავს. ასეთი მცენარეების შესახებ შეკეთების თქმა არ შეიძლება, რადგან სიტყვა შეკეთება ნიშნავს ремонтъ-ს. ამიტომ, მგონია, უნდა ვიხმაროთ: მოშენებული მცენარეები.

5. „ცვარედინებზე მივატოვე ცთა, ვმუშაობ ჯვარედიან განაყოფიერებაზე“ [გვ. 33). სიტყვა ცვარედინი რამდენჯერმე შეხვდება მკითხველს წიგნაკში. მგონია, ეს კორეკტურული შეცთომა უნდა იყოს, რადგან სრულებით არ ვიცი, თუ რას ნიშნავს, ან რა არის ცვარედინი. რაც შეეხება ჯვარედინ განაყოფიერებას, უნდა შემდეგი მოგახსენოთ.

ჯვარედინი განაყოფიერება პირდაპირი თარგმანია რუსული ტერმინისა—скрещеніе. ეს უკანასკნელი-კი პირდაპირი თარგმანია ფრანგული ტერმინისა: croisement. ამ ტერმინის სინამდვილე რო გავითვალისწინოთ, უნდა წარმოვიდგინოთ, რო ჩვენი თვალის წინ დგას ორი სხვა და სხვა გვარის დედალ-მამალი ცხოველისა, მხოლოთ-კი ამ რიგათ: წინ დგას ერთი გვარის დედალი ცხოველი, ამის უკანკი ამავე გვარის მამალი ცხოველი, ამათ გვერდით-კი მეორე გვარის დედალი ცხოველი და ამ უკანასკნელის უკან-კი ამავე გვარის მამალი ცხოველი. ახლა, იმის მაგიერ, რომ ერთი გვარის მამალი ცხოველი, რომელიც იმავე გვარის დედალი ცხოველის უკან დგას, ამ დედალ ცხოველზე-კი არ გავიდეს, რაიც სრულებით ბუნებრივია, არამედ ვაიძულოთ გავიდეს მეორე გვარის დედალ ცხოველზე, რომელიც ამ მამალს წინ-კი არ უდგია, არამედ წინ, მარა ამავე დროს მარჯვნით. ასევე უნდა მოვექცეთ მეორე წყვილს სხვადასხვა გვარის დედალ-მამალს. ეს შეუღლება-კი რო ნახატით წარმოვიდგინოთ, ჩვენ წინ აღიბეჭდება ჯვარის მსგავსი ფიგურა. აი, სწორეთ, ამიტომაც, ამ შეუღლებას, ამ აღრევას ფრანგებმა უწოდეს—croisement, ხოლო რუსებმა პირწმინდათ გადმოთარგმნეს. როგორც ხედავთ, აქ რთული გარემოების წარმოდგენაა საჭირო. ამ მომენტის, ამ გარემოების აღსანიშნავათ-კი ქართული ლექსიკონი ხმარობს სიტყვას—დაგრილება, რადგან ცხენის და ვირის აღრევას ხალხი ასე უწოდებს. ამიტომ ჯვარედინი განაყოფიერების მაგიერ უნდა ვიხმაროთ ნამდვილი ქართული ტერმინი: დაგრილება.

6. არა-ორგანოვანი (გვ. 23), ორგანოვანი ბუნება (გვ. 60) და ორგანიული ბუნება (გვ. 61). ან ერთი, ან მეორე ტერმინი უნდა ვიხმაროთ. ჩემი აზრით-კი უმჯობესია, ვიხმაროთ—ორგანიული ბუნება.

7. წყალ ვარდნილი (გვ. 23). უნდა თავი დავანებოთ ასე უხეშათ გადმოთარგმნილ სიტყვებს და ვიხმაროთ ნამდვილი ქართული გამოთქმა: ჩანჩქერა.

8. ასციდიათა მატლები (გვ. 68) და ნიადაგის შემუშავება მატლებით (გვ. 76). როგორც ხედავთ, აქ ერთი და იმავე სიტყვით—მატლები—გამოთქმულია ორი სხვადასხვა ცნება: личинка და червь. პირველ შემთხვევა-

ში სრულებით შესაფერისია სიტყვა მატლი, ხოლო მეორეში-კი უნდა ჭია ეხმარა ავტორს, რადგან დარვინმა სწორეთ ჭიათა მნიშვნელობა გამოიკვლია ნიადაგის დამუშავებისა და დაფოროვების საქმეში და რადგან ჭიასა და მატლს საერთო არა აქვთ რა.

9. ჩასახულება (გვ. 57). წინათ ხმარობდენ, ხოლო ზოგი ახლაც ხმარობს სიტყვას—ჩანასახი. მე ვხმარობ ტერმინს—განსახულება. მგონია, ეს ტერმინი უმჯობესია და სინამდვილესაც უფრო აღნიშნავს, რადგან ჩანასახიც და ჩასახულებაც იმ ფაკტს აღნიშნავს, რო მამალი ცხოველი დედალს დაუკავშირდება და მხოლოთ ამით ჩაისახება ახალი ცხოველის აგებულობა. ეს ტერმინი აღნიშნავს ისეთ პროცესს, რომელიც ამ ნაირათ გარედან შიგნით წარმოებს. მარა არის უამრავი ცხოველი, მაგ. ფილოქსერა, სადაც ეს პროცესი ასე როდი წარმოებს. აქ ახალი ცხოველის აგებულება დედალი ცხოველის სხეულში თავისთავათ განისახება (ყოვლად შეუძლებელია აქ ვიხმაროთ ჩაისახება) და ისე გავითარდება. ამიტომ ტერმინი განსახულება უფრო ზედ-მიწევნით აღნიშნავს პროცესის ზოგადობას, ამიტომაც ეს ტერმინია მისაღები.

10. ნაკუჭა (გვ. 61)—желудочекъ. ეს ტერმინი აღნიშნავს გულის წვერს. მგონია, რო ქართველთაგან ვერავინ დათანხმდება, რო გულს კუჭის რაიმე მსგავსება ემჩნეოდეს. ამიტომ, მგონია, რო გულის წვერის აღსანიშნავათ ეს ტერმინი ყოვლათ გამოუსადეგარია. უნდა შეთანხმებით რომელიმე ტერმინი საერთოთ მივიღოთ. მე ნახმარი მაქვს გულის ნაწილების აღსანიშნავათ: წინა-გული—предсердіе და უკანა-გული—желудочекъ. (იხ. ჩემი თარგმანი ფიზიოლოგია). ეს ჩემი ტერმინი იმით არის გამოწვეული, რო ლათინურათ предсердіе-ს atrium ქვია, რომელიც ამავე დროს რომაელების სიტყვაში ნიშნავდა სახლის აივანს, წინ-კარს. ამიტომ მეც ასე დავანაწილე: წინა-გული და უკანა-გული. გარდა ამისა, ამ ტერმინის სინამდვილე იმითაც მტკიცდება, რო გული არის შუა ადგილი სისხლის მიმოქცევისა და ტრიალისა. ამიტომ სისხლის ყოველი ნაწილი და ამ სისხლის სირსვლები თვისი მიმოქცევის დროს პირველათ წინა-გულს შეხვდებიან და მას გაივლიან, მერე-კი აქიდან უკანა-გულში შევლენ და იქიდან გამოვლენ. ამიტომ სისხლისა და სისხლის სირსვლებისთვის предсердіе წინა-გულია, წინ გასასვლელია, ხოლო желудочекъ-კი უკანა-გულია, უკან, ან მერე გასასვლელია.

ამიტომაც, მგონია, ამ ტერმინებზე უნდა შევჩერდეთ, რადგან ნაკუჭა სრულებით ამას არ შეეფერება, არ შეეხამება და ყოველი მკითხველიც ამ სიტყვის წაკითხვის დროს, უეჭველათ, წარმოიდგენს, რომ ეს ნაკუჭა რაღაც პატარა და მცირე კუჭიაო, რომელიც ამასთანავე კუჭში, ან კუჭთან დაკავშირებული უნდა იყოსო. ეს-კი აზრთა არევას გამოიწვევს.

საჭიროა და უცილობელიც ტერმინების საზოგადოთ ხმარება. ამისთვის-კი საჭიროა ჩვენს შორის იდუმალი შეთანხმება მოხდეს, თორე ტერმინების უხერხულობა როდი შეგვიშლის ხელს. ამის მაგალითებს რუსული ტერმინოლოგიიდან სახელდახელოთ აქ მოვიტან. რუსული ტერმინი желудокъ—კუჭი და желудочекъ უკანა-გული, გულის წვერი სრულებით გამოუსადეგარი ტერმინებია მართლაც, ამ სიტყვებს თუ გავარჩევთ, აღმოვაჩენთ, რომ ეს ორივე სიტყვა ნიშნავს რკოს—желудь. აქიდან-კი კნინობითი სახელია წარმომდგარი—желудокъ და კიდევ უფრო დაკნინებული სახელი—желудочекъ. ახლა იკითხეთ, რა აქვს საერთო რკოსა, კუჭსა და გულს?!

არაფერი. მარა ახლა რუსული ლიტერატურა ამის უხერხულობას, ამის შეუფერებლობას როდი ამჩნევს, არც უკვირდება ამას. ერთხელ ასეა მიღებული, მორჩა და გათავდა!

ან რუსული пищеварительный каналъ რა გამოთქმაა? სრულებით სინამდვილეს არ შეეფერება. პირდაპირ რო გადმოვთარგმნოთ, იქნება: საჭმლის მომხარშველი მილი. ახლა ყველამ იცის, რო ჩვენი კუჭი და ნაწლევები საზრდოს როდი ხარშვენ, არამედ ინელებენ, ითვისებენ. მოხარშვით-კი საჭმელს ჩვენ ქვაბში, ან ქოთანში ვხარშავთ. აი, ასე უხერხულია რუსული ტერმინოლოგიაც-კი. მარა ეს არავის ხელს არ უშლის და იქ ტერმინების ერთგვარობა გაბატონებულია. ვერც ვერავინ გაბედავს ამ ტერმინების უხმარობას, თუმცა, უეჭველია, ბევრი რუსი დიაღაც არ არის და არც იქნება კმაყოფილი ასეთ უხერხული და შეუფერებელი ტერმინებისა. ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ და ნამეტანს ნუ ჩავუკირკიტდებით ტერმინებს: ვიხმაროთ ერთხელ ვისგანმე. ხმარებული და ამით ეს ტერმინი გავავრცელოთ. საქმე და სწორეთ დიდი საქმეც თვით ეს გავრცელება, ეს საზოგადოთ, საერთოთ ხმარებაა სამეცნიერო ტერმინებისა.

იაკ. ფანცხავა.

ახლო აღმოსავლეთი.

(იხ. „განთიადი" № 3).

პეტრე დიდის ხელმწიფობის დროიდან, მთელი კასპიის ზღვის ირგვლივ არე-მარენი მარტო სპარსეთს ეჭირა ხელში. პეტრე დიდმა გულით მოინდომა რუსეთის ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის გაძლიერება აზიის შუაგულში და დიდი ინდოეთისკენაც გზა უნდა გამოენახა ამ საქმისთვის.. ამიტომ მან სპარსეთს ომი აუტეხა და წაართვა სპარსელებს ქ. ქ. დერბენტი, ბაქო და სხვა.

სწორეთ იმ დროს, რა დროსაც მოისპო პოლიტიკურათ პოლონეთი, გარდასწყდა აქ, აზიაში მეორე კულტურული მრავალ-ტანჯულ საქრისტიანო ერის, საქართველოს ბედიც. 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო შეუერთდა თვისი ნებაყოფლობით რუსეთის იმპერიას და, შემდეგ, 1810 წლამდი დასრულდა იმერეთის სამეფოს შეერთებაც და სხვა ჩვენი სამთავროებისაც*). ამ დიდმა ისტორიულმა ამბებმა საშინლათ გააბოროტა სპარსეთი და ოსმალეთი და დიდათ საწყენი შეიქნა ინგლისელებისთვისაც...

1809 წელს დასრულდა ომი შვეციასა და რუსეთს შორის და რუსეთმა შემოიერთა ალანდის კუნძულები და ფინლიანდია, რომელსაც ხელმწიფე ალექსანდრე I მიანიჭა პრივილეგიები და უბოძა ტიტული დიდი სამთავროსი.

სწორეთ ამავე დროს რუსეთს ომი ქონდა ატეხილი ოსმალეთთან. მოწინააღმდეგე მხარეებმა ზავი შეკრეს ქ. ბუქარესტში და რუსეთმა მიიკრა მთელი ბესარაბია და საზღვრათ დაინიშნა მდინარე პრუტი.

1815 წელს ევროპის სახელმწიფოთა მონარქნი და მათი მინისტრები ქ. ვენაში შეიკრიბენ და ამ კონგრესის გადაწყვეტილების ძალით რუსეთმა მიიღო პოლონეთის ის მიწა-წყალი, რაც პრუსიამ მიიკრა უკანასკნელის მეორე და მესამე განაწილების დროს. რუსეთის იმპერატორმა დასტურა ტიტული პოლონეთის სამეფოსი და ამიერიდან რუსეთის იმპერია დიდი ბრიტანიის სახელმწიფოს შემდეგ მიწა-წყალით შეიქნა ერთი უდიადესი სახელმწიფო, რომელსაც უჭირავს მეექვსედი ნაწილი მთელი დედამიწის ზურგისა.

1826 წელს ატყდა სპარსეთსა და რუსეთს შორის ომი, რომელმაც რუსეთს შესძინა ოცი მილიონი კონტრიბუცია, ქ. ქ. ერი

*) იხ. განსვენებული მიხეილ ხელთუფლიშვილის მონოგრაფია: „Вступленіе Грузіи въ составъ Россійской Имперіи".

ვანი, ნახჩევანი და მთელი ის მიწა-წყალი, რომელიც მდინარე არეზის მარცხენა მხარეზე ძევს. ამასთანავე სპარსეთს აეკრძალა კასპიის ზღვაზე ფლოტი იყოლიოს და რუსეთის ვაჭრებს მიეცათ დიდი უპირატესობანი სპარსეთში...

სწორეთ ამ დროსვე ატყდა ომი რუსეთსა და ოსმალეთს შორის იმიტომ, რო რუსეთმა თვისი ფლოტი მიაშველა საბერძნეთს, რომელიც თვისი პოლიტიკურათ გათავისუფლებისთვის გმირულათ ებრძოდა გაძვინვარებულ ოსმალეთის ბატონობას*). საბერძნეთი ვერ გათავისუფლდებოდა ოსმალების ბატონობისგან, რადგან ხელმწიფეებმა მას ზურგი შეაქციეს, რომ ევროპის განათლებულ ხალხს მისთვის თავი არ გამოედო. მთელი ევროპის პრესის და საზოგადო აზრის სიმპატიები და მხურვალე თანაგრძნობა აშკარათ საბერძნეთს მიემხრო და ყოველგან—ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, ინდოეთში, პოლონეთში და სხვაგანაც გამოვიდენ თავდადებული მებრძოლნი საბერძნეთის თავისუფლებისთვის. ინგლისში მოაწყვეს დიდი საზოგადოება, ასე წოდებული, „ჰელინელთა მოყვარულისა“ (ჰელინოფილები). ამას მიბაძეს ევროპის დანარჩენმა ერებმაც და გააწყვეს ყოველგან თავისუფლებისთვის მებრძოლი რაზმები და გამართენ შვენიერი ელლადის არე-მარეზე დიდი ბრძოლისთვის სისხლის დასაღვრელათ. თვით ლონდონში გადაწყვიტეს, რო სამი მილიონი მანათი ასესხონ საბერძნეთს ომის გასაგძელებლათ. საქვეყნოთ სახელგათქმულმა დიდ ბრიტანიის მგოსანმა, ლორდმა ბაირონმა ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო და ერთი წლის განმავლობაში იგი იქ ჭაობის ციებამ ისხვერპლა. ინგლისის მთავრობას გულში შიში ჩაუვარდა, რუსეთმა ომი არ გამოუცხადოს ოსმალებს და სტამბოლი არ დაიპყროსო. ამიტომაც იგი ჩაერია საბერძნეთის საქმეში და საფრანგეთისა და რუსეთის შეთანხმებით შეუთვალეს ოსმალეთს, საბერძნეთი შეირიგე და შინაურ საქმეებში თავისუფალი გამგეობის ნება, ე. ი., ავტონომია მიეცეო. ამაზე ხვანთქარმა უარი განაცხადა. მაშინ რუსეთმა, ინგლისმა და საფრანგეთმა შეერთებული ფლოტი გაგზავნეს და ნავარინთან მთელი ეგვიპტის ფლოტი ააფეთქეს. 1828 წელს რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს და რუსეთის ჯარებმა თითქმის უომრათ აიღო ქ. ადრიანოპოლი და ხონთქარმა მამად III ზავი შეკრა იმპერატორ ნიკოლოზ I 1829 წელს. ამ ომმაც შესძინა რუსეთს: ევროპისკენ მდ. დუნაის ზღვის შესართავთან ქ. ქ. იზმაილი და კილია, აქეთ აზიაში ქ. ქ. ფოთი, ახალციხე და სხვანი. საბერძნეთი სრულიათ გათავისუფლდა პოლიტიკურათ ოსმალეთის მონობისგან და სხვა ქრისტიანთა ბედ-იღბალიც გაუმჯობესებულ იქნა ამიერიდან ოსმალეთში...

1852 წელს რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I პირდაპირ ეუბნებოდა ინგლისის გამოჩენილს ელჩს: „ავათმყოფი ადამიანი (ვითომ ოსმალეთიო) სამარეს უახლოვდება და საჭიროა ჩვენ შევთანხმდეთ მის შესაფერ დასამარხავათო“. და ამასთანავე უმატებდა, რომ ოსმალეთის შესახებ ჩემს კაბინეტში ორნაირი აზრი ტრიალებსო, ერთი,—რომ იგი უკვე მოკვდა, მეორე—რომ იგი ახლა კვდებაო...

ახლა რუსეთი აღარავის წინაშე აღარ მალავდა და საქვეყნოთაც ამბობდა, რო მას ძალიან წყუროდა დიდი კლასიკური კონსტანტინეპოლის დაპყრობა და ბიზანტიის იმპერიის ნანგრევებზე გაბატონებაც...

1853 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ჩამოვარდა დიდი განხეთქილება და მტრობაც. ამის მიზეზი იყო ის გარემოება, რო რუსეთი გამოექომაგა პალესტინაში მართლმადიდებელთა უფლებების დაცვას. მარა ამაზე რუსეთის იმპერატორს ნიკოლოზ I დიდი უარი მოახსენა ბრწყინვალე პორტამ. ამას მაშინვე მოყვა, ასე წოდებული, ყირიმის ომის გამოცხადება და რუსეთის ჯარებმა ზაფხულშივე 1853 წელს გადალახეს საზღვრები და დიეჭირეს მალდავია და ვალახიას სამთავროე-

*) იხ. „საბერძნეთის გათავისუფლება“; სტატია დავით კარიჭაშვილისა, რომელიც დასტამბული იყო ჟურ. „ივერიაში“ 1883 წ.

ბი. ამის შემდეგ-კი რუსეთის შავი ზღვის ფლოტმა ადმირალ ნახიმოვის მეთაურობით სრულიათ მოსპო ოსმალეთის ძლიერი ესკადრა ქალ. სინოპთან.

იმ წამსვე დიდი ბრიტანიის უძლიერესმა მთავრობამ და საფრანგეთმაც იგრძნეს, თუ რა დიდი უბედურობა მოელოდა ოსმალეთს „ჩრდილოეთის კოლოსისგან“ და 1815 წლიდან დაწყებული შვიდობიანი კონცერტი ევროპის დიდ სახელმწიფოთა შორის დამყარებული, ახლა პირველათ დაირღვა და ყირიმის ომში რუსეთის საბედისწეროთ მის დასატაკებლათ ჩაერიენ. დიდი ბრიტანიის და საფრანგეთის იმპერატორს ნაპოლეონ 3, რომელსაც დიდი ჯავრი სჭირდა რუსეთისა, მიემხრო სარდინია და ავსტრიაც, რომელმაც რუსეთს არ. დაუმახსოვრა ის გარემოება, რომ ავსტრიამ რუსეთის ჯარებით გასრისა უბედური ვენგრიელები ერთ დროს... ამგვარათ, რუსეთი ჩავარდა დიდ გამწარებულ, აუწერელ მდგომარეობაში.

რუსეთის უძლიერესმა მტრებმა ყოველის მხრით შეკრეს იგი. რუსეთის მოწინააღმდეგეთა ფლოტი გაჩდა შავ ზღვაშიაც, თეთრ ზღვაშიაც და შორს კამჩატკის ნაპირებზეც. ინგლისის და საფრანგეთის საშიშარი ფლოტი თვალის დახამხამების უმალვე დაიბადა ყირიმში, ევპატორიის ქალაქთან. რუსეთის არმიის სარდალი თავადი მენშიკოვი მდ. ალმის ნაპირებზე შეხვდა მტერს. მარა საშინლათ დამარცხდა იგი და უკან დაიხია. ამავე დროს ძლევა-მოსილი ფლოტი რუსეთის მტრებისა მიადგა სევასტოპოლს, რომლის ყურეში სრულიათ ჩაკეტა რუსეთის შავი ზღვის ფლოტი. თერთმეტი თვე გაგძელდა უსაშინელესი სისხლის ღვრა, რომელმაც დააუძლურა რუსეთი და თითქმის წელშიაც გასწყვიტა იგი. რუსეთს ამ დროს არ გააჩდა, არც ხეირიანი გაჭრილი გზები, არც რკინის გზის სახსენებელი იყო მაშინ რუსეთში, თუ არ მიიღებთ მხედველობაში ერთათ ერთ რკინის გზას, რომელიც იყო გაყვანილი მოსკოვსა და პეტროგრადს შუა.

1855 წელს, 1 თებერვალს გადაიცვალა რუსეთში ხელმწიფე ნიკოლოზ 1 და ტახტზე ავიდა იმისი შვილი, ალექსაოდრე 2. ყირიმის ომი ამ ხელმწიფის გამეფების შემდეგაც გაგძელდა. მარა 28 აგვისტოს მტრის შეერთებულმა ძლიერმა ფლოტმა სულერთიანა გაანადგურა სევასტოპოლი და ამ მხარეზე ძლიერი გამარჯვებით დაგვირგვინა ომი.

კავკასიის აქეთა მხ'ისკენ ბრძოლის ველზე უფრო მარჯვეთ მიყავდა საქმე რუსის გენერლებს ბებუთოვს და მურავიოვს, რომელმაც ყარსიც კი აიღო. მარა სახელოვანი ომერ ფაშის მეთაურობით ოსმალეთის ჯარი შიგ შუაგულ ჩვენს ქვეყანაში შამოჭრა დიდის ამბით და ცხენის წყლის პირამდიც მოვიდა. ქუთაისს, მიუცილებლათ, განადგურება მოელოდა... მარა ერთბაშათ ომი შესწყდა და 1855 წელს, 18 მარტს ზავი ჩამოვარდა. პარიზის ტრაკტატის ძალით, რომელმაც აიძულა რუსეთის მთავრობა ყმები გაეთავისუფლებია, მდინარე დუნაის შავს ზღვასთან შესართავი ოსმალეთმა წაიღო, შავი ზღვა ნეიტრალურ ზღვათ გამოცხადდა და ყველა ნაციის სავაჭრო გემებისთვის ამიერიდან იგი ღია შეიქნა. რუსეთს პირობა დაადებიეს, რომ იგი სამხედრო ფლოტს შავს ზღვაზე არ იყოლიებდა და სხვა.

ამნაირათ, როგორც ხედავთ, „ავათმყოფი ადამიანის“ უდროვოთ დამარხვაზე საუბარი ძალიან ნაადრევი გამოდგა და ყირიმის ომში ისე ძლიერათ და საშინლათაც დამარცხდა რუსეთი, რომ ალექსანდრე 2 რეფორმებს არ ეხსნა იგი, ვინ იცის, ან ვინ გაითვალისწინებს დღეს იმას, თუ რა უნდა მომხდარიყო ამ უშველებელს, უვიცს და დამშეულს ქვეყანაში...

ჩემი სტატიის პირდაპირ საგანს, რასაკვირველია, არ შეადგენს იმის აღწერა, თუ რა მიწა-წყალი შეიძინა რუსეთმა ალექსანდრე 2 ხელმწიფის დროს. მარა სიტყვამ მოიტანა აქ და, ბარემ, აღვნუსხოთ მხოლოთ შეძენილი ქვეყნების დასახლებაც.

ყირიმის ომის შემდეგ, რუსეთმა შორე აღმოსავლეთში ჩინეთიდან შეიძინა მდინარე ამურის მარცხენა მხარეზე მდებარე ადგილები და აგრეთვე მთელი ზღვის ნაპირები იაპონიის ზღვამდის. აქ, ამ ადგილებში გაშენდა ორი ქალაქი: ნიკოლაევი და ვლადივასტოკი.

შემდეგ რუსეთმა დიდის გაჭივრებით, როგორც იქნა, დაამარცხა კავკასიის არწივი-შამილი და, ამნაირათ, დაიმორჩილა კავკასიის მთების შვილებიც...

ამას შემდეგ, კასპიის ზღვის იქითა მხარეებისკენ დაიწყო რუსეთმა ომები და დაიმორჩილა ხივის, კოკანის და ბუხარას სახანოები და დაარსა იქ თურქესტანის საგენერალ-გუბერნატორო არე-მარენი.

ყველა ეს ქვეყნები მდინარეებზე სირ-დარიასა და ამუდარიაზე არიან გაშლილი. იმპერატორის ალექსანდრე 2 ხელმწიფობის დროსვე გენერალმა სკობელევმა შემატა რუსეთს ახალ თეკინის ვრცელი მიდვრები და ალექსანდრე III ხელმწიფობის დროს თვის ნებით შეუერთდა რუსეთს მდინარე მურღაბის არე-მარეზე მდებარე მდიდარი მერვის ოაზისი.

ამ ადგილების შეძენით რუსეთი ძალიან დაუახლოვდა დიდი ბრიტანიის უმდიდრეს სამფლობელოს,—კლასიკურს ინდოეთს და ეს გარემოება შეიქნა მიზეზი იმისა, რომ ინგლისის საზოგადოების აზრი, მისი შორსმჭვრეტი მინისტრები შიშითა და დიდის გულის ძგერით შესცქერიან ორთავიან არწივის ასეთს თავდაუჭერელს აგრესიულს პოლიტიკას...

სწორეთ იმ დროს, როცა რუსეთი აზიის შუაგულ არე-მარეზე თვის სამფლობელოს იფართოვებდა, ევროპის შუაგულ ხმელეთზე მოხდა ფრიად დიდმნიშვნელოვანი ამბავი: პრუსიის სახელოვანმა მეფემ ვილჰელმ 1 გერმანიის იმპერია სულ მთლათ გააერთიანა. საფრანგეთის იმპერატორი, ნაპოლეონ 3 დიდი წინააღმდეგი შეიქნა გერმანიის იმპერიის გაერთიანებისა და პრუსიას ომი გამოუცხადა. როგორც მოგეხსენებათ, ამ ომში ნაპოლეონ 3 საშინლათ დამარცხდა, ფრანგებმა იგი წამსვე ტახტიდან ჩამოაგდეს და თავის შვენიერს, მდიდარ ქვეყანაში რესპუბლიკა დაიარსეს. მეფე ვილჰელმი-კი 1871 წელს მოკავშირე მეფეებმა გერმანიის იმპერატორათ გამოაცხადეს...

რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე 2 ამ ომში დიდი დახმარება გაუწია გერმანიას, რაშიგ არ გაერია, ასე წოდებული, სრული ნეიტრალიტეტი დაიცვა და გერმანიის იმპერატორს ვილჰელმს 1 საშინლათ დაამარცხებინა საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ 3 მხედრობა. ამიტომაც, იმპერატორს ვილჰელმს 1 ხმაც არ ამოუღია, როცა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე 2 1871 წელს პირველ ხარისხოვან სახელმწიფოებს გამოუცხადა, რომელთაც პარიზის ტრაკტატს ხელი მოაწერეს, რომ იგი საჭიროდაც აღარა თვლის რუსეთის ხელის შემშლელი პირობანი ამ მორიგებისა (77 პარაგრაფი) ამიერიდან ძალაში დასტოვოს. ყვყლას მუცელში ენა ჩაუვარდა, ხმა ვერ ამოიღო ვერავინ და რუსეთმაც სევასტოპოლში მაშინვე ხელი მიყო შავი ზღვის სამხედრო ფლოტის დაარსებას, არსენალების, ციხეების და დიდ-დიდ ჯაშვნიან გემების გაკეთებასაც...

როგორც ზევითაც მოგახსენეთ, კაინარჯისკის შერიგების დროს, რომელიც მოხდა 1774 წელს, პირველ ხარისხოვანმა სახელმწიფოებმა რუსეთს ნება მისცეს ოსმალეთის მართლმადიდებელ ქრისტიანეთათვის მფარველობა გაეწია. თუმც ეს მზრუნველობა 1856 წელს პარიზის ტრაკტატმა ევროპის სხვა დიდ სახელმწიფოებსაც მიანიჭა, მარა რუსეთი უფრო ექომაგებოდა მართლმადიდებლებს ოსმალეთში, რადგან უნდოდა იმათი გულის მოგება თვისი სახელმწიფო დიდი მიზნების გასა-

ხორციელებლათ. ოსმალეთის ბაშიბუზუკნი მუდამ ტანჯავდენ და არბევდენ ბალკანეთის სლავიანებს, ცარცვავდენ საქრისტიანო ტაძრებს და მონასტრებს, კლავდენ ვაშკაცობას და ჩვილ ყრმებს, მიყავდათ ქალები და ქალიშვილები და იდგა ერთი უშველებელი წამება და ჯოჯოხეთი. ბოსნიასა და გერცოგოვინის სერბებმა ველარ აიტანეს ეს ამბავი და აჯანყდენ. ამათ მიეხმარა სერბიელების სამთავროები—შავგორეთი და სერბია, რომელნიც ოსმალთა ბატონობას არასდროს ქედს არ უხრიდენ, არასდროს არ ურიგდებოდენ. რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე 1 მეფობის დროს მიენიჭა ოსმალთაგან თავისუფლება სერბებს, რომელთა მთავარი მხოლოთ სახელმწიფო გადასახადს უხდიდა ოსმალეთს. იმპერატორმა ალექსანდრე 2 ხვანთქარს თხოვა ოსმალთა ბაშიბუზუკებისგან ეხსნა მართლმადიდებელი სლავიანები. მარა, რაკი თხოვნამ არ გასჭრა, რუსეთის იმპერატორმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს. ამ რიგათ, დაიწყო რუს-ოსმალოს ომი (1877 78 წ.), რომელიც მოძმე—სლავიანთა პოლიტიკურათ გათავისუფლებას ისახავდა მიზნათ, როგორც რუსეთის მთავრობა ქვეყნიერებას არწმუნებდა შინ და გარეთ. რუსეთში იმ წამსვე ბალკანეთის სლავიანთა გათავისუფლების საზოგადოება დაარსდა და ატყდა დიდი ამბები... 1877 წელს რუსეთის ერთმა არმიამ დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის მთავარსარდლობის მეთაურობით გადიარა მდინარე დუნაი და შევიდა პირდაპირ ბულღარიაში. მეორე არმია დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის მთავარსარდლობის მეთაურობით მიადგა ბათომს და ყარსის ციხეს.

მიხეილ ტარიელის ძე ლორისმელიქოვმა აიღო ძლიერი ყარსის ციხე და ბათომიც აღებულ იქნა. ბულღარიაში-კი ამ დროს მოხდა დიდი შემაძრწუნებელი ამბავი. მთელი რუსეთის მხედრობას განის გზით შეეჭრა საქვეყნოთ სახელგათქმული ოსმან ფაშა ქალ. პლევნაში და უნდოდა მთელი რუსეთის დიდი არმია ზედ შუაზე გაეჭრა. ამ საოცარმა სარდალმა ორჯელ საშინლათ, პირდაპირ საარაკოთ დაამარცხა რუსის გენერლები კრიდენერი და სკობოლევი. ორი თვის განმავლობაში მას უშველებელ შიშში ყავდა მთელი რუსის ბალკანეთის არმია და იმისი ბედი ბეწვზე ეკიდა, რომ უგანათლებულეს თავადს ალექსანდრე ბაგრატიონს („იმერეტინსკათ“ წოდებულს და შემდეგ ვარშავის გენერალ-გუბერნატორს) არ ეხსნა იგი. ამ დროს, აქვე, ბრძოლის ველზე ბძანდებოდა თვით რუსეთის ხელმწიფე ალექსანდრე 2. ალექსანდრე ბაგრატიონმა შეთხზა სრულიათ ახალი სამხედრო გეგმა. დიდი ოსმალეთის გამძვინვარებულ ლომს—ოსმან ფაშას გარს შემოერტყა და მთელი თვისი მხედრობით ტყვეთ წამოიყვანა იგი. ამ დიდი სარდლის, ალექსანდრე ბაგრატიონის საქმე იყო აგრეთვე თვით ბალკანეთის ქედებზე საოცარი გაბედული გადასვლა რუსეთის არმისა და კონსტანტინეპოლის ალაყაფის კარებამდი ძლიერი იერიშების მიტანაც...

პლევნის აღების და ოსმან ფაშის ჩამოშორების შემდეგ, რუსეთის მხედრობამ თავი აიშვა, გაიარა შიპკა დეკემბრის თვეში, რომელსაც იცავდა ოსმალეთის არმია თავიდან ფეხებამდი შეიარაღებული ინგლისის სამარი იარაღებით, სურსათით, ფულებით და იმათი აფიცრებითაც. ოსმალეთის არმია დანებდა რუსეთის მხედრობას, რომელიც პირდაპირ ჩავიდა ადრიანობოლში. რუსთა მოწინავე ჯარების ატრიადებმა უკვე დაინახეს ძველი აიასოფიის გათქმული ტაძრის გუმბათები... რომ ამ დროს ბოსფორის ლურჯ ზვირთებში საბედისწეროთ გაჩდა ოთხი უშველებელი სამხედრო ჯავშნიანი გემი დიდი ბრიტანეთისა და... რუსეთის არმიებიც იმ წამსვე შეჩერდენ... იქვე სანსტეფანოში, რომელიც კონსტანტინეპოლს ათს ვერსზე ახლავს, რუსეთსა და ოსმალეთს შორის შერიგება მოხდა.

გუდკეთილი.

(შემდეგი იქნება).

ომის მაგიანე.

მარტის უკანასკნელმა ორმა კვირამ დაახლოვებით შემდეგი გვიძღვნა: რუსეთ-გერმანიის საზღვრებზე ნემანის ნაპირზე, სუვალკისა, პრასნიშისა, გროდნოსა და სხვა მათ ახლო მდებარე მიდამოებში წარმოებდა შეტაკებები. მარა, საერთოთ, ამ ორი კვირის ოპერაციებს ეტყობა, რომ ეს რაღაც დიდი ოპერაციისთვის მზადება უნდა იყოს და მეტი არაფერი. სხვა და სხვა სამხედრო მიმომხილველების აზრით ამ ორი კვირის გერმანიის ბრძოლა რუსებთან დემონსტრაციულია და მოპირდაპირის ყურათღების დაბნევის მოსურნე. მართლაც, პერემიშლის აღებამ ბევრი რამ შეცვალა და თუ გერმანელებმაც რაიმე სხვა საშვალება არ აღმოაჩინეს რუსების საგრძნობლათ ხელის შემშლელი, ეს მათთვის ხელსაყრელი არ იქნება კრაკოვის მიდამოებში გერმანელები თან და თან ადიდებენ თავის ძალებს და კაზიუვკასთანაც დაჯინებით იბრძოდენ; ავსტრო-ჰუნგრეთის საზღვარზე კი სხვას ვხედავთ: რამდენათ გერმანელების მოქმედებას სამზადისი მოქმედება შეგვიძლია ვუწოდოთ, იმდენათ ავსტრიელების მოქმედება სადღეისოა; იქ დიდი ამბებია: რუსეთის ჯარი მოკლე ხანში კარპატების გადალახვით და ჰუნგრეთის მიდამოებში შესევით ემუქრება ავსტრიას. უკანასკნელს კარგათ ესმის ეს და მისი მნიშვნელობა, და ყოველ ღონის ძიებას ხმარობდა და ხმარობს რომ რუსების წინ სვლა შეასუსტოს და დაბანდოს. აი ამიტომ, მან ცადა რუსის ჯარის წვერებზე მედგარი იერიშების მიტანით და მოვლით გაეტყუებია უჟოკისა და მეზოლაბორჩის მიდამოებიდან რუსის ჯარის ნაწილი აქეთ იქეთ, მარა ვერას გახთა; ავსტრიელების ჯარმა გადალახა დნესტრი, რუსების საზღვრი და შევიდა ხოტინში, მარა ამ ოპერაციას მხოლოთ მაშინ ექნება მნიშვნელობა, თუ ავსტრიელებმა შეძლეს აქ იმდენი უნარის გამოჩენა, რომ კიევ-ლვოვის რკინის გზა, ე. ი. მაგისტრალური საკვები გზა მოჭრეს, და თუ ეს ვერ მოახერხეს, მაშინ მათი მოქმედება თავის თავს ვერ გაამარილებს. უფრო საფიქრალია, რომ აქ უბრალო დემონსტრაციაა.

კრაკოვთანაც ცადეს ავსტრიელებმა ჯარის შეჯგუფება, მარა ჯერ ღირსშესანიშნავი არა ყოფილა რა. ცენტრში კი რუსები, როგორც ზევით ნათქვამია. წინ წინ მიდიან. ვნახოთ შემდეგში რა იქნება.—

ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ გერმანიის მოქმედება რაიმე დიდი საქმით არ აღბეჭდილა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ინგლისის რამოდენიმე გემი სხვა და სხვა ადგილს წყალში აფეთქდა გერმანიის წყალქვეშა ნავებისა და ნაღმების მოწყალებით.

საფრანგეთში გერმანელები წინანდებურათ მოქმედობენ ნიუპორსა, შამპანში, ბოსეჟურაში და მათ მიდამოებში. ინგლისიც და გერმანიაც გაზაფხულის მოლოდინში ორივე დიდ მზადებაშია; სჩანს აქეთ დიდ ამბებს უნდა ველოდეთ; რას – მომავალი გვაჩვენებს.

დარდანელთან თანდათან გამოირკვა, რომ არც ისე ადვილი ყოფილა საქმე, როგორც ფიქრობდენ და დიდი დესანტის გადუხმლათ მიზნის მიღწევა შეუძლებლათ ცვნეს; ამით აიხსნება, ის რომ ამ ბოლო დროს ინგლისმა და საფრანგეთმა შეასუსტა დარდანელთან მოქმედება: ირკვევა ისიც რომ დარდანელის სრუტე ბევრათ უკეთ ყოფილა გამაგრებული, ვინემ ეს სამთა შეთანხმებას ეგონა. ბოსფორთან რუსებმა ოსმალოს ფლოტს ნელ-ნელა მარა სისტემატიურათ საგრძნობელი ზარალი აჩვენეს, მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთის ფლოტი შავ ზღვაზე უფრო საფეთერაკო მოვალეობას ასრულებს ვიდრე ინგლისსა და საფრანგეთის.

ბულგარეთის „ნეიტრალობა„-ს თანდათან ნიღაბი ეხსნება: ბულგარეთი მაინც და მაინც აღარ ფარავს თუ ვისკენ არის მისი სული და გული: ყოველ ღონეს ხმარობს დაეხმაროს ოსმალებს დარდანელის დაცვაში. არც იტალია და რუმინია იქცევიან უფრო გრლწრფელათ.

კავკასიის ასპარეზზე, ოფიციოზის სიტყვით, რუსების საქმე კარგათ მიდის: მათ ხელთ იგდეს დელიბაბა. არტაანი, კარადერბენტი და ეშაკ—ეილასი.

ჭოროხის მიდბმოებშიც მედგარი იერიშით რუსები წინ-წინ მიიწევენ, სწერენ გაზეთები.

შორეულ აღმოსავლეთში კვლავ ილრუბლება. ამბობენ, ჩინეთსა და იაპონიას შუა კიდევ გაურბენია შავ კატას. ვნახოთ, მომავალი რას გვაჩვენებს.

რედაქტორ-გამომცემელი ს. მჭედლიძე.

სტამბა „ძმობა“. ნებადართულია სამხედრო ცენზორისგან

მიიღება 1915 წ. პირველ იანვრიდან ხელის მოწერა სამეცნიერო და სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალ

„განთიად“-ზე,

რომელიც გამოვა ორკვირაში ერთხელ ხომლელის ხელმძღვანელობით.

წლიურათ ჟურნალი ეღირება 4 მან. 60 კაპ., ნახევარი წლით 2 მან. 30 კაპ., სამი თვით 1 მან. 15 კაპ., თვიურათ 50 კაპ., თითო ნუმერი აბაზათ.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ. ხელის მოწერისას 2 მან. 60 კაპ., პირველ აპრილს—1 მან. და პირველ ივნისს—1 მან.

ქუთაისში ხელის მოწერა შეიძლება ისიდორე კვიცარიძესთან, თომა მთავრიშვილთან და ძმ. ოცხელების წიგნის მაღაზიაში, თფილისში წ. კ. გ. საზოგ. მდივანთან, ბაქოში, ქართული სკოლის გამგე მეთოდე კაკაბაძესთან, ფოთში კოწია გამყრელიძესთან, ბათომში სოსიკო მდივანთან, სოხუმში ანთიმოზ ჯუღელთან და კავკავში თ. იასონ მერაბისძე ლორთქიფანიძესთან.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Гор. Кутаисъ. Роману Спиридоновичу Панцхава.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

„სამშობლო“

გაზეთის ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი— 7 კ.

ასევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს.

გთხოვთ წერილები და ფული გზავნოთ შემდეგის ადრესით: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“, თფილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა.

გაზეთს ყოველ კვირა ექნება ნახატებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდებულია თანამგრძნობთა რიცხვის გამრავლებაზე.

ვთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი პორტრეთები.

ვთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებას და საზოგადო მოღვაწეებს გვიგზავნონ პორტრეთები.

მოწვეულნი არიან ცნობილნი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღეებში გამოქვეყნდება.

რედაქტორი ი. თ. ტინცაძე.